ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 7 ივნისი, 2022 №110 (8888) ფასი: 80 თეთრი



გვ.5

„სააკაშვილის ექსპერტიზაში მონაწილეობას მივიღებთ“

გასულ 5 წელში ნიკა გვარამია ერთადერთია, რომელიც 220-ე მუხლის გამო ციხეში ჩასვეს

გვ.5

„ხელისუფლებას ვადამდელი არჩევნების დანიშვნა მოუნევს, ევროკავშირმა სტატუსი თუ არ მოგვანიჭა“

გვ.2

პაატა დავითაია: „ევროპას ჩვენი ხელისუფლება მოსწონს თუ არ მოსწონს, მაინც უნდა მიანიჭოს კანდიდატის სტატუსი“

„მე მაქვს ინფორმაცია ევროპიდან, თურმე ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები დადიან და გაიძახიან, თუ ჩვენ არ მოგვცემთ, მოლდოვასაც არ მისცეთ კანდიდატი ქვეყნის სტატუსი“

„პირდაპირ ვამბობ: არ გვეკუთვნის ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი“

გვ.3

მურმან დუმბაძე: „ჩვენ, როგორც საზოგადოება, ვერ შევდექით, ვერ გავხდით დემოკრატიული, თავისუფალი საზოგადოება“

გვ.4

„რუსეთი ამტკიცებს, რომ ტირანია, ევროპას აშანტაჟებს“

მამუკა გიორგაძე: „აქტიური პოლიტიკური სპექტრი არ არის დაინტერესებული ევროინტეგრაციით“

„ემიგრანტების შრომაზეა ჩამოკიდებული ქართული ეკონომიკა!“

გვ.3

ნიკა შენგელია: „ეროვნულ ბანკს 2,85-ს ქვემოთ ლარის გამყარება არ მიაჩნდა საჭიროდ“

ირაკლი ღარიბაშვილი: „ბორჯომის“ აქციონერი, თანამფლობელი გახდება სახელმწიფო“

გვ.2

გვ.2

დავით ჭიჭინაძე: „ესენი ხელისუფლება კი არა, მევახშეები არიან“

2 გიგი უგულავა: „როდესაც ხელისუფლება არ ვარგა, ევროპული საზოგადოება შესაბამისად მოქმედებს და ცვლის“

4 არავითარი მეორე ფრონტი არ იქნება, არც მეორე ომი არ იქნება საქართველოში

3 პროექტირებაზე მუშაობა უნდა დასრულდეს რამდენიმე თვეში

6 მედვედევის შვილს ამერიკაში ვიზა გაუუქმდა

1993230720223

„ხელისუფლებას ვადამდელი არჩევნების დანიშვნა მოუწევს, ევროკავშირმა სტატუსი თუ არ მოგვანიჭა“

პაატა დავითაია: „ევროპას ჩვენი ხელისუფლება მოსწონს თუ არ მოსწონს, მაინც უნდა მიანიჭოს კანდიდატის სტატუსი“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პაატა დავითაია პასუხობს.

– ბატონო პაატა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს? ჩვენი საზოგადოება ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მოლოდინშია. პოლიტიკური სპექტრი კი ერთმანეთს ეჯიბრება, ვინ დაიწერს ქულებს ამ პროცესში და თუ არ მოგვცეს სტატუსი, მაშინ ვისი ბრალი იქნება. თქვენ რა მოლოდინები გაქვთ?

– რაც შეეხება ევროკავშირის თემას, ძალიან მძიმე თემაა, სამწუხაროდ.

– რა თვალსაზრისით?

– იმ თვალსაზრისით, რომ ქართველი ხალხი იმსახურებს, ევროკავშირის კანდიდატი რომ იყოს და შემდგომ ევროკავშირის წევრი ქვეყანა. ქართველმა ხალხმა ძალიან ბევრი გააკეთა ამისთვის. მაქსიმალურს აკეთებდნენ ქართველები, რომ ევროპის ოჯახის წევრი ყოფილიყვნენ. ახლა გვეძლევა სერიოზული ისტორიული შანსი. სამწუხაროდ, ხელისუფლების მხრიდან გაურკვეველი მოქმედებები აჩენს ბევრ კითხვის ნიშანს. მთავარი არის სასამართლო რეფორმა, რომელიც არ ხორციელდება. ვისაც არ ეზარება, ყველა ამ თემაზე გვაკრიტიკებს. ჩვენს პარტნიორებს ვგულისხმობ. ეს არის იგივე პოლიტიკური დევნის საკითხები. ეს ყველაფერი არანაირად არ ჯდება ევროპულ სტანდარტებში. დემოკრატიის ნაკლებობაა. მაგალითად, როდესაც უმრავლესობა პარლამენტში აკეთებს განცხადებას, რომ ის ოპოზიციის არც ერთ შეთავაზებას არ გაითვალისწინებს, ეს არ ჯდება ევროპულ სტანდარტში. ხალხი იმსახურებს ევროპულ ოჯახს, თუმცა ხელისუფლება მოქმედებს ისე, რომ ეს პროცესი დაზიანდეს.

– დასავლეთიც აპელირებს ამაზე, რომ პოლიტიკური ნიშნით ხდება დაპატიმრებები. თუნდაც გვარამიას საქმეზეა საუბარი, სააკაშვილზე. როგორ უნდა მოგვარდეს ეს პრობლემები?

– გვარამიას დაჭერა ხომ აბსურდი იყო. სწორედ რომ პოლიტიკური დევნაა! იგივე მუხლით რომ სხვა დააჯარიმეს და გვარამია ჩასვეს, რათ უნდა ამას ლაპარაკი, რომ პოლიტიკური დევნაა. ეს ძალიან მარტივია. სააკაშვილს რაც შეეხება, რა გახდა მისი მკურნალობის საკითხი, რომ მთელმა მსოფლიომ არ ილაპარაკოს ამაზე. მოდით, ასე ვთქვათ, ჩემი პროგნოზი და მოლოდინები არის ასე, რომ ტექნიკურად, სუფთა ევროკავშირის სტანდარტებიდან გამომდინარე, ჩვენ სტატუსი არ გვეკუთვნის აი ამ დარღვევების გამო. მაგრამ...

> **„მე მაქვს ინფორმაცია ევროპიდან, თურმე ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები დადიან და გაიძახიან, თუ ჩვენ არ მოგვცემთ, მოლდოვასაც არ მისცეთ კანდიდატი ქვეყნის სტატუსი“**

– მაგრამ სხვა მოცემულობაა უკრაინის სიტუაციიდან გამომდინარე?

– დიახ, სწორედ აქეთ მიმყავს საუბარი. ამიტომ ეს იქნება პოლიტიკური გადაწყვეტილება. თუ ჩვენ სამივე ქვეყნის სტანდარტს შევხედავთ, უკრაინა, მოლდოვა, საქართველო, საქართველო ბევრად წინაა, ვიდრე მოლდოვა და უკრაინა. ომს არ ვგულისხმობ და აქედან გამოწვეულ პრობლემებს. საქართველოს კანონმდებლობით, სხვადასხვა მომენტებით, რაც სტანდარტებით ევროკავშირთან ახლოსაა. ჩვენი პრობლემა რაცაა, ეს თავშივე ვთქვი, ესაა სასამართლო სისტემა. სწორედ ამაზე მწყდება გული, ბევრი სტანდარტით წინ მივიწევთ და სასამართლო სისტემიდან გამომდინარე უკან ვიხევთ. მთავარი პრობლემაც სწორედ ეს არის დღეს. ამიტომ, თუ სუფთა სამართლებრივად შევხედავთ, ამ სამი რესპუბლიკიდან ვერც ერთი ვერ მიიღებდა, მაგრამ ამ ომმა, რადიკალურად შეცვალა ყველაფერი. იმედს ვიტოვებ, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილება იქნება მიღებული და ჩვენ გავხდებით კანდიდატი ქვეყანა.

– ანუ უკრაინას და მოლდოვას თუ მისცემენ, ჩვენც უნდა მოგვცენ აუცილებლად?

– ეს თუ ასე არ მოხდა, ეს იქნება პირდაპირ ღია მესიჯი, რომ ამ ხელისუფლების პერიოდში ეს არ მოხდება. კანდიდატის სტატუსს ვერ მივიღებთ.

– უკვე გაჟღერდა მსგავსი მესიჯები, რომ ეს ხელისუფლება არ იმსახურებს ევროპულ ოჯახს და უნდა შეიცვალოს.

– კი, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ქართველი ხალხი იმსახურებს ამას! ევროპას ჩვენი ხელისუფლება მოსწონს თუ არ მოსწონს, მაინც უნდა მიანიჭოს კანდიდატის სტატუსი. რატომ? იმიტომ, რომ ეს დააკისრებს ხელისუფლებას უაღრესად დიდ ვალდებულებას.

– და იძულებული იქნება შეასრულოს?

– დიახ, ასეა. აქედან გამომდინარე, სერიოზულად ვიტოვებ იმედს, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილების ჭრილში ჩავჯდებით. რეალურად რა ინფორმაციაც მე მაქვს ევროპიდან, ჩვენი ხელისუფლება იქ აქტიურ მუშაობას არ აწარმოებს. თურმე ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები დადიან და გაიძახიან, თუ ჩვენ არ მოგვცემთ, მოლდოვასაც არ მისცეთო. ძალიან ცუდი სიტუაციაა შექმნილი.

– ხელისუფლება კი ნიადაგს ამზადებს, თუ არ მოგვცემენ სტატუსს, ეს ოპოზიციის ბრალი იქნებაო. რამდენად არის ეს ოპოზიციის ბრალი?

– ხელისუფლების მხრიდან ამის თქმა, რომ ოპოზიციის ბრალია, უბრალოდ, სასაცილოა. ოპოზიციის ბრალი როგორ არის. ხელისუფლებას უნდა თქვას, რომ ოპოზიციას მეტი ძალა აქვს, ვიდრე ხელისუფლებას?!

– ყველა მათ განცხადებაში ეს მესიჯი იკითხება.

– ვიღაც არაადეკვატური მესიჯბოქსერი ჰყავთ და მაგიტომ. დღეს ძალაუფლება აქვს „ქართულ ოცნებას“ კონსტიტუციით, საქართველოს ხელისუფლება წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობებში ქვეყანას! რისი თქმა უნდათ, რომ მათზე ძლიერი პოზიციები აქვს ოპოზიციას?! ეს ხომ სასაცილოა. კომენტარიც არ მინდა ამ თემაზე.

– ხომ არ მოხდება ისე, 2024-ს დაელოდოს ევროპა, რომ შეიცვალოს ეს ხელისუფლება? ამ ვარიანტს თუ განიხილავთ?

– მე ვფიქრობ, რომ თუ ახლა არ მოგვანიჭეს, ამას მოყვება არეულობა. ხალხის დიდი უკმაყოფილება იქნება და ხელისუფლებას მოუწევს ვადამდელ არჩევნებზე წასვლა. ესაა ჩემი პროგნოზი.

– ეს გახდება ვადამდელი არჩევნების მიზეზი?

– თუ ასე მოხდა, აუცილებლად მოუწევს ვადამდელის დანიშვნა. დიდი ტალღა წამოვა პროტესტის. თუ მოლდოვა და უკრაინა მიიღეს და ჩვენ არა, აუცილებლად ასე მოხდება. თუ არც ჩვენ მიგვიღეს, არც მოლდოვა და მხოლოდ უკრაინას მისცეს სტატუსი, ეს პოლიტიკური გადაწყვეტილება იქნება.

– უკრაინაშიც ძალიან მძიმე სიტუაციაა. კიევიც იბომბება. უკრაინაზეც ხომ არ დაფიქრდება ევროპა?

– რაც ხდება უკრაინაში, ჩვენ ამაზე არაერთხელ გაგვიკეთებია პროგნოზი. სულ ვამბობდი, რომ ეს ხანგრძლივი პროცესი იქნებოდა. ეს არ გაჩერდება კიდევ კარგა ხანს.

– ახალი სამიზნეები ხომ არ გაუჩნდება რუსეთს? ვისმენთ განცხადებებს, რომ თუ რაკეტებს მიაწვდით უკრაინას, ჩვენ გვეყოლება ახალი სამიზნეო. რამდენად სახიფათოა ეს ყველაფერი?

– რა თქმა უნდა, ახალი სამიზნეების ალბათობა დიდია. ეს ყველაფერი მახსენებს 1939 წლის სიტუაციას. სანამ მეორე მსოფლიო ომი დაიწყებოდა. გარკვეული საომარი აფეთქებები ბევრგან იყო. შემდეგ ამას მოყვა მეორე მსოფლიო ომი. ახლა რეალურად ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ რაღაც მსგავსი უნდა მოხდეს. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ძალიან დაძაბული ვითარებაა. არაორდინარული სიტუაციაა მსოფლიოში. პუტინი შეეცდება, რომ არა მარტო უკრაინაში, არამედ სხვაგანაც დაძაბოს სიტუაციები, რათა გამოიწვიოს უფრო მეტი კრიზისი. ძალიან პესიმისტური პროგნოზები მაქვს და ღმერთმა არ ქნას, ეს ასრულდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ასეთი მოლოდინი მაქვს. ამიტომ მნიშვნელოვანია, ასეთ სიტუაციაში ჩვენ ვიყოთ ევროკავშირის ქოლგის ქვეშ. ეს პრინციპულად მნიშვნელოვანია. დიდ იმედს ვიტოვებ, რომ ევროკავშირში ამ გადაწყვეტილებას მიიღებენ.

გიგი უგულავა: „როდესაც ხელისუფლება არ ვარგა, ევროპული საზოგადოება შესაბამისად მოქმედებს და ცვლის“

ოპოზიციონერი პოლიტიკოსის გიგი უგულავას განცხადებით, ქართველმა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს, სურს თუ არა ევროპული ოჯახის წევრობა.

როგორც მან რესპუბლიკის მოედანზე მიმდინარე აქციაზე ჟურნალისტებს განუცხადა, როდესაც ხელისუფლება არ ვარგა, საზოგადოება ცვლის.

– ისტორიის განმავლობაში დღეს მართლაც ასე გვიდგას საკითხი, რეალურად ევროპისკენ მივდივართ, ერთი და იგივე ადგილზე ვართ, თუ ისევ რუსეთის ორბიტაზე აღმოვჩნდებით, ეს პირველ რიგში, საზოგადოებაზეა დამოკიდებული.

ამ საზოგადოებას ვერაფერი შეაჩერებს, არა პოლიტიკური ელიტა, არამედ პირველ რიგში, საზოგადოება იქმნება. ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ იმაზე, რომ ხელისუფლება არ გვივარგა და ეს ნამდვილად ასეა, მაგრამ როდესაც ხელისუფლება არ ვარგა, ევროპული საზოგადოება შესაბამისად მოქმედებს და ხელისუფლებას ცვლის. ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ მანამ, სანამ განსხვავებულს პატივს არ ვცემთ და ამაზე მარტო იმას ვიტყვით, კონსტიტუციაში კი წერია, მაგრამ ისე მე არ მაინტერესებს, მანამდე წინ ვერ წავალთ. ამიტომ, პირველ რიგში, ჩვენმა საზოგადოებამ უნდა ჩააბაროს ეს გამოცდა, ვართ თუ არა ევროპული საზოგადოება, – განაცხადა გიგი უგულავამ.

„უფრო მეტმა სტუმარმა შეიძლება რესტორნების კოლაფსი გამოიწვიოს“

რესტორატორთა ასოციაციის ხელმძღვანელმა პალიტრანიუსის „დილის პალიტრას“ ეთერში განაცხადა, რომ დღესდღეობით სარესტორნო სფეროში სამუშაო ძალის დეფიციტია.

მისივე თქმით, ამ ყველაფერმა გაზრდილი ტურიზმის ფონზე რესტორნები, შესაძლოა, კოლაფსამდე მიიყვანოს.

– კადრების დეფიციტის პრობლემა რესტორნებისთვის განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდება მაშინ, როცა ქვეყანაში ტურისტების რაოდენობა მოიმატებს. ეს ყველაფერი გარდაუვალი იქნება და ცალკეული რესტორნები ისევ ამ პრობლემის წინაშე აღმოჩნდებიან. მაშინ როცა, შენ გჭირდება 5 თანამშრომელი, რომელმაც უნდა უმასპინძლოს სტუმრების გარკვეულ რაოდენობას, მაგრამ მხოლოდ 3 თანამშრომელი გყავს, უბრალოდ, კოლაფსი მოხდება. რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს. უფრო მეტმა სტუმარმა შეიძლება რესტორნების კოლაფსი გამოიწვიოს, – აღნიშნა შოთა ბურჯანაძემ.

მისივე თქმით, კადრების ვერშენარჩუნების მთავარი მიზეზი ისაა, რომ სექტორში ხელფასების სათანადო ზრდა ვერ მოხერხდება.

– სამწუხაროდ, დღესდღეობით, ქვეყანაში მაღალი ინფლაციის ფონზე, ვერ მოხერხდა რესტორნების სფეროს თანამშრომლების გარკვეული ნაწილისთვის ხელფასების ზრდა.

რა თქმა უნდა, ეს ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, რაც დღესდღეობით მოცემულ სფეროში დასაქმებულთა ზრდას ხელს უშლის. ჩვენთან, რესტორნებში მაღალი ინფლაციის ფონზე, მენიუს ფასები არ გაგვიზრდია. შესაბამისად, ჩვენი მოგებაც არ გაზრდილა იმისათვის, რათა თანამშრომლებისთვის ხელფასები მოგვემატებინა.

ზოგიერთმა რესტორანმა ეს მოახერხა, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ეს ვერ მოხერხდა, რაც, რა თქმა უნდა, მთელი სექტორისთვის დამაზიანებელია, – აცხადებს შოთა ბურჯანაძე.

დავით ჭიჭინაძე: „ესენი ხელისუფლება კი არა, მევახშეები არიან“

ესენი ხელისუფლება კი არა, მევახშეები არიან და მხოლოდ ფულის გამოგლეჯას ცდილობენ – ევროკავშირში მოსახვედრი ამათი გეგმაც მხოლოდ ილუზიაა, – ამის შესახებ პოლიტიკური მოძრაობა „ტრიბუნას“ ლიდერმა, დავით ჭიჭინაძემ განაცხადა.

მისივე თქმით, ქვეყანაში მხოლოდ ბანკების შემოსავალი იზრდება.

– როგორ არ უნდა გიყვარდეს შენი ხალხი, რომ ისინი მხოლოდ მარწყვის მკრეფავ შავმუშად გაიმეტო უცხო ქვეყანაში და ლეგალურად სხვა სამსახური ვერ შესთავაზო?! როგორ შეიძლება ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება დავიჯეროთ, როდესაც მხოლოდ ბანკების შემოსავალი იზრდება 1.500%-ით, მოსახლეობის კი მცირდება?! ლარის 10-15%-იანი ვარდნებიც წინ და უკან, ხომ მხოლოდ ხალხის ძარცვას ემსახურება. ან სად არის ახალი სამუშაო ადგილები, რომელიც გაზრდილი ეკონომიკის თანმდევი უნდა იყოს?!

მოკლედ, ესენი ხელისუფლება კია არა, მევახშეები არიან და მხოლოდ ფულის გამოგლეჯას ცდილობენ.

ევროკავშირში მოსახვედრი ამათი გეგმაც მხოლოდ ილუზიაა, რადგან რა ევროკავშირზეა საუბარი, როდესაც ქვეყნის მთავარი სავაჭრო ვალუტა რუბლი ხდება?! – აცხადებს ჭიჭინაძე.

ირაკლი ღარიბაშვილი: „ბორჯომის“ აქციონერი, თანამფლობელი გახდება სახელმწიფო“

– „ბორჯომთან“ დაკავშირებით, მინდა რამდენიმე სიტყვით ვთქვა, რომ ეკონომიკის სამინისტრომ უკვე პრაქტიკულად დაასრულა მოლაპარაკებები, ერთი კვირის თავზე მთავრობის სხდომაზე გამოვიტანთ საკითხს და „ბორჯომის“ აქციონერი, თანამფლობელი გახდება სახელმწიფო და ამით ეს პრობლემა მოგვარდება.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

პრემიერის თქმით, არსებობს გარკვეული სირთულეები, მათ შორის დასაქმებულების პროტესტი.

ISSN 1987-9385
9 771987 938006

ახალი ამბები
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„პირდაპირ ვამბობ: არ გვეკუთვნის ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი“

მურმან დუმბაძე: „ჩვენ, როგორც საზოგადოება, ვერ შევდექით, ვერ გავხდით დემოკრატიული, თავისუფალი საზოგადოება“

ნათია ხურცილავა

„ნაციონალური მოძრაობა — გაერთიანებული ოპოზიციის“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო მურმან, პრემიერმა ღარიბაშვილმა განაცხადა, ზედმიწევნით შევასრულეთ ყველა პირობა, რომელიც ევროკავშირთან გვქონდა აღებული. თქვენი მოლოდინი როგორია, მივიღებთ კანდიდატი ქვეყნის სტატუსს?

– რას იტყვის ირაკლი ღარიბაშვილი, საერთოდ არ მაინტერესებს. მე გეტყვით იმას, რასაც მე ვფიქრობ. დღეს საქართველო არ იმსახურებს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსს. თუ მოგვცემენ ამ სტატუსს, ძალიან გამიხარდება და თუ არ მოგვცემენ, ძალიან მეწყინება, მაგრამ სათქმელი ვიღაცამ მაინც უნდა თქვას ღიად. დღეს საქართველო არ იმსახურებს ამ სტატუსს. თუ მკითხავთ, ქართველი ხალხიც არ იმსახურებს? გიპასუხებთ, რომ არა, არ იმსახურებს.

– როგორც ჩანს, ძალიან გაბრაზებული ხართ.

– არა, არ ვარ გაბრაზებული, სიმართლეს ვამბობ. სად არის ის ხალხი, რომელიც 9 აპრილს იდგა რუსთაველის გამზირზე და რუსის ტანკებს უვარდებოდა?! სად არის ის ხალხი, ვინც ამდენი იომა დამოუკიდებლობისთვის, თავისუფლებისთვის – სად არის ეს ხალხი?! ხალხი, რომელიც ეგუება უსამართლობას, ხალხი, რომელიც ეგუება მესამე პრეზიდენტის ძალით სიკვდილს, ხალხი, რომელიც არაფერს ამბობს და ეგუება მისი ნების გაყალბებას არჩევნებზე, არ იმსახურებს ევროკავშირის წევრობას. დამისახელეთ სკოლის ერთი დირექტორი მაინც, რომელმაც თავისუფალი არჩევანი გააკეთა არჩევნებზე, ასეთი უბრალოდ არ არის. ამიტომ ვამბობ, რომ ჩვენ, როგორც საზოგადოება, ვერ შევდექით, ვერ გავხდით დემოკრატიული, თავისუფალი საზოგადოება, რომლის წყურვილიც არის სამართლიანობა, კანონის უზენაესობა. ასეთია ევროკავშირი, ჩვენ ასეთი ვერ გავხდით. ამიტომ, ვამბობ იმას, რასაც ვამბობ. დღევანდელი მოცემულობით ჩვენ არ გვეკუთვნის ეს სტატუსი.

– ეს არის ოპოზიციონერის პოლიტიკური განცხადება, რომელიც სწორედ პოლიტიკური მოცემულობით არის ნაკარნახევი, რომ სტატუსის მონიჭება „ქართულ ოცნებას“, როგორც მმართველ ძალას, არსებობას გაუხანგრძლივებს?

– არა, ეს არის რეალობა, რომელსაც თვალი უნდა გავუსწოროთ. მე ვთქვი, გამიხარდება, თუ მოგვცემენ და მეწყინება, თუ არ მოგვცემენ, მაგრამ სიმართლე ვიღაცამ უნდა თქვას. ამას ვამბობ გაბედულად, პირდაპირ, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე. ჩემი ოპოზიციონერი კოლეგები ამას არ ამბობენ, ვერ ამბობენ სიმართლეს, რადგან სიმართლე მწარეა ხოლმე. არადა, სათქმელი ღიად უნდა ითქვას, თუ გვინდა, გამოვჯანმრთელდეთ.

– ირაკლი ღარიბაშვილმა თქვა, ბრიუსელში მითხრეს, ოპოზიციის ლიდერები ჩამოდიან და გვეუბნებიან, რომ კანდიდატი ქვეყნის სტატუსს არ ვიმსახურებთო.



– არ მჯერა ირაკლი ღარიბაშვილის. ამას არ ამბობენ ოპოზიციის ლიდერები. ერთადერთი, მე გამოვედი და მე ვთქვი ღიად.

– ხომ არ ინანებთ ამ განცხადებას?

– არა, არაფერს არ ვინანებ. სანამ დემოკრატია არ იქნება ჩვენი მოთხოვნილება, არაფერს არ ვინანებ და სათქმელს ყოველთვის ღიად ვიტყვი. 30 წელი ვერ მივაღწიეთ იმას, რომ არჩევნები ჩატარდეს სამართლიან და თავისუფალ გარემოში. საზოგადოებამ ვერ მიაღწია ამას. ვერ შევძელით, ადამიანს შიში არ ჰქონდეს, რომ თავისი არჩევანის გამო დასჯიან და სამსახურიდან გაათავისუფლებენ.

30 წლის მანძილზე ვერ მივაღწიეთ თავისუფალ და დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ მართლმსაჯულებას. სასამართლოს და მოსამართლეებს, რომლებიც პატივისცემას იმსახურებენ იმის გამო, რომ მათ ვერავინ ვერ გაუბედავს დარეკვას და გადაწყვეტილების „ზევიდან“ კარნახს. ამას საზოგადოებამ უნდა მიაღწიოს. ეს საზოგადოების მოთხოვნილება უნდა იყოს. აქვს კი დღეს ჩვენს საზოგადოებას ამის მოთხოვნილება?! როგორც ჩანს, არ აქვს. სულ ორი კვირის წინ, ნიკა გვარამია დაიკავეს მხოლოდ იმიტომ, რომ კომპანიის კუთვნილი ავტომანქანით მისი ოჯახი გადაადგილდებოდა. პრემიერის ოჯახი არ გადაადგილდება?!

– ამაზე ჰქონდა ღარიბაშვილს პასუხი.

– დიახ, და ეს პასუხი მისაღები აღმოჩნდა საზოგადოებისთვის. მეც მისარგებელია სახელმწიფოს მანქანით, როდესაც პარლამენტის დეპუტატი ვიყავი, არა დანიშნულებით და რატომ არ მიჭერენ. ამიტომ ვამბობ იმას, რასაც ვამბობ. თუ მკითხავთ, წინა ხელისუფლების პირობებში ვიმსახურებდით თუ არა ამ სტატუსს, პირდაპირ გეტყვით – არა, არც მაშინ არ ვიმსახურებდით. დიახ, არ ვიმსახურებდით.

– თუ არ მოგვცემენ სტატუსს, როგორ ფიქრობთ, ხალხში რა რეაქცია მოჰყვება ამას?

– ოდნავ მაინც გამოფხიზლდებიან. საფრანგეთში, გერმანიაში ჟურნალისტებს არ იჭერენ და მოსაკლავად არ დასდევენ. მე ვამბობ, თუ მოგვცემენ, გამიხარდება და თუ არ მოგვცემენ, მეწყინება, მაგრამ რეალობა ის არის, რომ არ ვიმსახურებთ. ევროკავშირისგან დადებითი გადაწყვეტილება მხოლოდ პოლიტიკური გადაწყვეტილება იქნება, არსებული გეოპოლიტიკური რეალობით ნაკარნახევი.

„ემიგრანტების შრომაზეა ჩამოკიდებული ქართული ეკონომიკა!“

ნიკა შენგელია: „ეროვნულ ბანკს 2,85-ს ქვემოთ ლარის გამყარება არ მიაჩნდა საჭიროდ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ეკონომიკის ექსპერტი ნიკა შენგელია პასუხობს.

– ბატონო ნიკა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის ეკონომიკურ პროცესებს? მაისის მეორე ნახევრიდან ლარმა გამყარება დაიწყო, თუმც მაისის ბოლოს კვლავ გაუფასურდა. ეროვნულმა ბანკმა ხელოვნური ჩარევით გააუფასურა ლარიო. რა ხდება და რა პოლიტიკა აქვს ქვეყნის ეკონომიკურ გუნდს?

– ლარი, რა თქმა უნდა, ხელოვნურ სუნთქვაზე იყო შეერთებული, რომ გაამყარეს, იმიტომ, რომ ვერაფერს უხერხებდნენ საწვავზე ფასებს. კონკურენციის სააგენტოს შუალედური დასკვნა არაფერია ამასთან დაკავშირებით, გარდა იმისა, რომ ამზადებენ ფონს დააჯარიმონ კომპანიები. კარგი იქნება მოიძიოთ, 2015 წელს რომ დააჯარიმეს კომპანიები, საერთოდ რამდენმა გადაიხადა ეს ჯარიმა. გამომდინარე აქედან, ფასებზე რომ სტაბილურობა მიეღწიათ, გადაწყვიტეს ლარის გამყარება. ვხედავთ, რომ ესეც არაეფექტური აღმოჩნდა.

– რამდენიმე მილიონი დოლარი ამოიღო ეროვნულმა ბანკმა ბაზრიდან და ლარიც გაუფასურდა. რატომ მოიქცნენ ასე?

– რეზერვები შეივსო ეროვნულმა ბანკმა და მიანიშნა რომ 2,85-ს ქვემოთ ლარის გამყარება არ მიაჩნდათ საჭიროდ. მეტად რომ გამყარდეს ლარი, მაშინ ექსპორტი შეუმცირდებათ. ამიტომ სპეკულაციის შემთხვევები დაუშვეს. კომერციულმა ბანკებმა კი ამ ყველაფრით კარგად იხეირეს. ძალიან დიდი მოგება ნახეს. იაფად ნაყიდი დოლარი, ისევ ძვირად მიყიდეს მოსახლეობას. ახლა, ამ შუალედში, ალბათ, ასე ათამაშებენ ამ ლარის კურსს.

– აქედან გამომდინარე, ალბათ ფასებიც აღარ დაიკლებს?

– ფასები არ დაიკლებს, იქნება მაღალი და აქედან გამომდინარე ინფლაციაც გვექნება მაღალი. ეროვნული ბანკის პოლიტიკის კრიტიკა, ჯერ კიდევ ორი წლის წინ დავიწყეთ ჩვენ. ინფლაცია, რომელიც არსებობს ქვეყანაში, მას უნდა ებრძოლონ მეტი პროდუქციის წარმოებით, მეტი მომსახურების მიწოდებით. ამას კიდევ სჭირდება იაფფასიანი ფული, რაც ეწინააღმდეგება ეროვნული ბანკის პოლიტიკას. ის, პირიქით, ფულს აძვირებს. პირდაპირ ვთქვათ და დავარქვათ სახელი, რომ ეროვნული ბანკი არც არასდროს არ მდგარა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ფერხულში თავისი ძვირიანი ფულადი პოლიტიკით.

– რას ემსახურება ეროვნული ბანკის პოლიტიკა?

– ეს განყენებული ორგანოა. საერთოდ სხვაგან დგას ეროვნული ბანკი და საბანკო სისტემა. ეროვნული ბანკის ასეთი პოლიტიკის პირობებში, ქვეყნის ეკონომიკა ვერ განვითარდება.

– პრემიერი სულ სხვა რამეს საუბრობს, თითქოს დუღს და გადმოდის ჩვენი ეკონომიკა.

– ის ციფრები, რომელსაც ახლა აქვეყნებენ, ეს არის მხოლოდ ციფრები, გალამაზებული ციფრები. თუ ასეთი მზარდია ჩვენი ეკონომიკა, თუ ასეთი მდიდრები ვართ, მაშინ ხალხი არ უნდა გარბოდეს ქვეყნიდან. სამუშაო ადგილები არ უნდა მცირდებოდეს და ასე შემდეგ. ეს ყველაფერი ემსახურება მხოლოდ პიარს. ქვეყანაში არ არის სწორი ეკონომიკური პოლიტიკა და არ არის სწორი ფულად საკრედიტო პოლიტიკა.

– ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი აცხადებს, რომ თუ მოულოდნელი შოკი არ გაჩნდა, მაშინ წლის მეორე ნახევარში ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელთან მივალთო.

– იმისთვის ხარ ეროვნული ბანკი და იმისთვის გაქვს ეს ბერკეტები, რომ სიტუაცია მართო. დასაბრალებელი თემები ყოველთვის ჰქონდათ, ხან პანდემიას დააბრალეს და ხან თურქულ ლირას. მიზეზებს რა გამოლევს. დასაბრალებელი მიზეზი არ ექნებათ თუ სწორ პოლიტიკას აწარმოებენ. ანუ, უნდა იყოს იაფი ფული და ქვეყანამ უნდა შეძლოს სოფლის მეურნეობით იმდენი პროდუქტი მოიყვანოს, რომ თავის თავი მაინც დაიკმაყოფილოს. მოსახლეობას ძალიან უჭირს და ძალიან წუხს პირველადი მოხმარების პროდუქტების ასე გაძვირებით.

– კატასტროფულადაა გაზრდილი ფასები.

– დიახ, ასეა. ელემენტარულად კიტრი, პომიდორი და კარტოფილი ვერ მოუყვანია ქვეყანას! ამხელა სამინისტრო არსებობს, ამხელა ეროვნული ბანკი და ეს ვერ გადაუწყვეტიათ. ხან რას აბრალებენ და ხან რას. ვისაც გინდა, იმას დააბრალონ, ეს არის თავიანთი უნიათობის ბრალი. ვერ შექმნეს, ვერ განავითარეს ისეთი სოფლის მეურნეობის სექტორი, რომ ადგილობრივი კვების პროდუქტებით მაინც დაიკმაყოფილონ თავი. ასევე, ხორბალზეც შეიძლება 70%-მდე გაზრდა. თუმცა არაფერი არ კეთდება ამ მხრივ. არ არიან კვალიფიციურები. საბითუმო ბაზარზე კარტოფილის ფასი ორ ლარს გაცდა. როდესაც კარტოფილი ვერ მოგყავს იმ რაოდენობით და ხედავ, რომ ძვირდება, ის მაინც გააკეთე, რომ აკრძალო მისი გატანა ექსპორტზე. რუსეთში გადის, აზერბაიჯანში, სომხეთში. საერთოდ არა აქვთ გააზრებული, რა და როგორ უნდა გააკეთონ.

– საერთოდ არ აინტერესებთ ხალხის ყოფა?

– რეალურად ასეა. არ აინტერესებთ, მაგრამ ხალხსაც რომ შეხედოთ, მათაც არ აქვთ პროტესტი. მგონი, საერთოდ აღარ აინტერესებთ, რა ფასები იქნება.

– რატომ არ აქვთ პროტესტი?

– გეტყვით ამის მიზეზს. ასე იმიტომ ხდება, რომ მოსახლეობის 40% ჩამოკიდებულია ემიგრანტების მიერ გადმორიცხულ თანხაზე. საერთოდ არ აწუხებს ეს ფასები, არც პროტესტი უჩნდება და არაფერი. ახურდავებენ ამ დოლარებსა და ევროებს და იკვებებიან იმით. აი ეს არის სიმართლე, ვთქვათ პირდაპირ. აქ არ არის სამუშაო ადგილები და ხალხი მიდის ევროპაში, რომ იქ დასაქმდეს. აი ესაა ჩვენი რეალობა. ქართული ეკონომიკა, წინა მთავრობის დროსაც და ახლაც, ჩამოკიდებულია ემიგრანტების შრომაზე. ერთადერთი ფაქტორი, რაც ქართულ ლარს ამყარებს, არის სწორედ ის თანხები, რაც ემიგრანტების მიერ ირიცხება და მიემართება შემდეგ ლარის მოთხოვნაზე. ემიგრანტების შრომაზეა ჩამოკიდებული ქართული ეკონომიკა! წლის განმავლობაში საქართველოში შემოდის დაახლოებით სამ მილიარდამდე დოლარი, ხან ცოტა მეტიც. წინა წელს სამი მილიარდ 350 მილიონი იყო. ეს არის ფაქტიურად ჩვენი ბიუჯეტის მესამედი. რა გამოდის? ბიუჯეტის მესამედი შემოდის ემიგრანტების შრომიდან. მოსახლეობის ნახევარი დღეს ცხოვრობს ემიგრანტების გამოგზავნილი ფულით. აი ეს არის რეალობა.

პროექტირებაზე მუშაობა უნდა დასრულდეს რამდენიმე თვეში

პრემიერი მდინარე იორდანესთან საქართველოსთვის მიწის გადაცემაზე

ჩვენ ვვარაუდობთ, რომ კონცეფციაზე, პროექტირებაზე მუშაობა დასრულდეს რამდენიმე თვეში და ჩვენი დიდი სურვილია, რომ წლის ბოლოს იქ უკვე დავიწყოთ სამუშაოები, ეს არის ჩვენი გეგმა და, რა თქმა უნდა, ამის თაობაზე პერიოდულად მივაწვდით ინფორმაციას ჩვენს მოქალაქეებს.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე, მდინარე იორდანესთან საქართველოსთვის მიწის გადაცემაზე საუბრისას განაცხადა.

მისივე თქმით, როგორც კი მზად იქნება კონცეფცია და პროექტი, დაიწყება სამშენებლო სამუშაოები.

– იორდანიის ვიზიტთან დაკავშირებით მე მინდა, ვუთხრა ჩვენს მოქალაქეებს, რომ წარმატებით დასრულდა ეს პროცესი – გადმოგვეცა მიწის ნაკვეთი მდინარესთან ძალიან ახლოს, იქვე, ათ მეტრში. ასე რომ, ჩვენ დავიწყებთ ახლა მუშაობას აქტიურად, მოგეხსენებათ, რომ კომისია გვაქვს შექმნილი, სადაც ჩართულნი იქნებიან საპატრიარქოს წარმომადგენლები. მინდა, რომ ამ კვირაში უკვე შევიკრიბოთ, პირველი შეხვედრა გავმართოთ. დავიწყოთ აქტიური მუშაობა ზოგად კონცეფციაზე, პროექტირებაზე და როგორც კი მზად იქნება კონცეფცია და პროექტი, დაიწყება მუშაობა და სამშენებლო სამუშაოები.

ამის თაობაზე მინდა გითხრათ, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ კონცეფციაზე, პროექტირებაზე მუშაობა დასრულდეს რამდენიმე თვეში და ჩვენი დიდი სურვილია, რომ წლის ბოლოს იქ უკვე დავიწყოთ სამუშაოები, ეს არის ჩვენი გეგმა და რა თქმა უნდა, ამის თაობაზე პერიოდულად მივაწვდით ინფორმაციას ჩვენს მოქალაქეებს, – განაცხადა პრემიერმა.

„რუსეთი ამტკიცებს, რომ ტირანია, ევროპას აშანტაჟებს“

მამუკა გიორგაძე: „აქტიური პოლიტიკური სპექტრი არ არის დაინტერესებული ევროინტეგრაციით“

მარიამ მჭედლიშვილი

ევროინტეგრაციის პერსპექტივებსა და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა სახალხო პარტიის თავმჯდომარეს, ყოფილ დისიდენტსა და დეპუტატს მამუკა გიორგაძეს.

– ივნისში გაირკვევა, ვხდებით თუ არა ევროკავშირის წევრობის კანდიდატი. შესაძლებელია თუ არა, რომ საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას მიმართ მიიღონ შუალედური გადაწყვეტილება, შემოგვთავაზონ მოსამზადებელი პერიოდი კანდიდატობისთვის?

– როგორც ვხედავთ, ევროპა უფრო დაინტერესებულია იმით, რომ საქართველო გახდეს ევროპული ოჯახის წევრი, ვიდრე პოლიტიკური სპექტრი. ამ სპექტრში ვგულისხმობ მმართველ პარტიასა და იმ ოპოზიციას, რომელიც აფიშირებულია და ყოველდღე ეკრანებზე ჩანს. უფრო მეტსაც ვიტყვი, აქტიური პოლიტიკური სპექტრი საერთოდ არ არის დაინტერესებული ევროინტეგრაციით.

– მათ შორის ამ საკითხზე ერთიანობა არ იკვეთება?

– მეორდება 2007 წლის ისტორია. მაშინ იდგა მაპის მონიჭების საკითხი. ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ პროცესი შეფერხებულიყო. სწორედ მაშინ მოხდა ტელევიზიების, მიტინგების დარბევა, ადამიანების დახოცვა, მხუთავი აირის გამოყენება. ამის არსი ანტიდასავლური იყო. ამის მომწყობებმა მისცეს სალაპარაკო ევროპის იმ სახელმწიფოებს, რომლებიც მაპის მოცემას მხარს არ უჭერდნენ. მხარს არ უჭერდნენ, მაგრამ უარისთვის საბაბი არ ჰქონდათ. საქართველოს პოლიტიკურმა სპექტრმა ეს საბაბი გააჩინა. მაშინ აშშ იყო ჩვენთვის მაპის მოცემის აქტიური მხარდამჭერი. ახლა იგივე ხდება ევროინტეგრაციის მიმართ. ევროდეპუტატებს, ევროკავშირის მაღალჩინოსნებს შორის საქართველოს ჰყავს მხარდამჭერები, ლობისტები. ამავე დროს პოლიტიკური სპექტრი, რომელიც დაწინაურებული და აქტიურია, აფერხებს ამ პროცესს. „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა აგრძელებენ გაუთავებელ დავიდარაბას ერთმანეთში და ერთმანეთზე ამბობენ, შენ იქნები დამნაშავე თუ კანდიდატის სტატუსი არ მოგვცესო. არადა, ევროპულ ოჯახში ყოფნა ქართველი ხალხის სურვილია.

– სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც ამ მიმართულებით პოზიტიურად აქტიურობს, თითქმის მთელი ხალხის სურვილს ამჟღავნებს?

– რასაკვირველია. ეს ბუნებრივი სურვილია. ყველა ნორმალურ ადამიანს უნდა, იცხოვროს სტაბილურ, სამართლიან, დაცულ გარემოში, სადაც არის კეთილდღეობა. ჩვენ ხომ მენტალობა ერთი გვაქვს! განვითარების ერთნაირი გზა გავიარეთ. ქართული ხელოვნება და ლიტერატურა ყოველთვის ძალიან ახლოს იყო ევროპულთან. ევროკავშირი არის ის ორგანიზაცია, რომელიც ევროპულ ოჯახს წარმოადგენს.

– თუ შუალედური გადაწყვეტილება იქნა მიღებული, ანუ თუ კანდიდატობის მოცემა გადავადდა, საპროტესტო აქციები ხომ არ არის მოსალოდნელი?

– თუ საპროტესტო აქციებზეა საუბარი, ისინი უნდა მოეწყოს იმის გამო, რომ არ გვაქვს ნორმალური სასამართლო, ნამდვილი თვითმმართველობა, ეკონომიკაში და სხვა სფეროებში კონკურენტული გარემო, ვერ ვატარებთ ნორმალურ არჩევნებს, თავი ვერ დავაღწიეთ მონოპოლიებს. ასევე, ვერ გამოვედით ბელადების სისტემიდან.

– ევროპა პოლიტიკური ბელადების არსებობას გამორიცხავს?

– რა დროს ბელადებია 21-ე საუკუნეში! კარგია რომელიმე ბელადი თუ ცუდი, ეს სხვა საკითხია. თავისთავად, ბელადებზე დამყარებული პოლიტიკური სისტემა თანამედროვე ცივილიზებულ მსოფლიოში მოისპო. ევროინტეგრაციის სურვილთან ერთად, ჩვენ ევროპისკენ კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადავდგათ. ევროკავშირის წევრობა ვალის მოსახდელი ჩათვლა არ არის. ეს ჩვენი განვითარებისთვის, ჩვენი შვილებისთვის გვინდა.

„ღიად პრორუსულ ძალებზე მეტად მაშფოთებენ ის ქართველი პოლიტიკოსები, რომლებიც წლებია გამოდიან პროდასავლური დროშით“

– გადავიდეთ რუსეთზე, რომელიც აგრძელებს სასტიკ ომს უკრაინაში. რუსეთის სახელმწიფო დუმა აპირებს მიიღოს კანონი, რომელიც დააკანონებს სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილებების შეუსრულებლობას რუსეთში. საით მიდის რუსეთი?

– რუსეთი ამტკიცებს, რომ ტირანია. ამით კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ რუსეთი ევროპას აშანტაჟებს.

– კრემლი დათმობების მიღებას ცდილობს?

– რუსეთს უნდა, ევროპას ცრემლი ადინოს საკუთარი დაჩაგრული მოქალაქეების გამო. კრემლის პოზიცია დაახლოებით ასეთია – თუ სანქციებს არ მომიხსნით, ხალხს ვაწამებ და დავხოცავო. ამითაც იკვეთება დესპოტური ვერტიკალი, რომელზეც რუსეთის მართვის სისტემაა აგებული. ამ სახელმწიფოს ზუსტად ახასიათებს მიხეილ ჯავახიშვილი, რომელიც ამბობს, რომ რუსეთმა ცხრა მეზობელი უკვე შეჭამა და მეათე მეზობლის შესაჭმელად ემზადება. ეს გადაწყვეტილებაც ადასტურებს, რომ რუსეთთან შეთანხმება შეუძლებელია. ამას რუსეთთან თანხმობის მიღწევის მსურველები, ბოლოს და ბოლოს, უნდა მიხვდნენ.

– რუსეთთან დიალოგისა და საერთო ენის გამონახვის მოსურნეები საქართველოში ძალიან გააქტიურდნენ.

– საქმეც ესაა. რუსეთიდან არსებობს ინტერესი საქართველოს მიმართ და ფული. ამიტომ გააქტიურდნენ. მახსოვს, საბჭოთა კავშირს დითირამბებს უძღვნიდნენ ის ადამიანები, რომლებსაც საბჭოთა რეჟიმმა ოჯახის წევრები დაუხვრიტა. საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა, ამ ადამიანებს მომხდარი საშინელება დაევიწყებინათ და მათ მიმართ დამსახურებებს არ იშურებდა.

– ალბათ, დახვრეტილი ადამიანების დაწინაურებული ახლობლები რაოდენობრივად გაცილებით მეტნი იყვნენ, ვიდრე ახლა საქართველოში კრემლის მხარდამჭერები არიან?

– დიახ. კრემლის მომხრეები ბევრნი არ არიან. რუსეთის ყურადღება შენელებულია. არის შეფერხება ფულის გადმოგზავნასა და ტექნოლოგიებში. ასე რომ, აგენტურა და ლობისტები ლაღად ვერ იქნებიან. რუსეთის კორუფციულმა სისტემამ უკრაინაში კრახი განიცადა. კრემლს ეგონა, უკრაინაში დალაგებული ჰქონდა სიტუაცია, მაგრამ მოტყუვდა. საქართველოშიც მეტს ვეღარ ქაჩავს რუსეთი. რასაც ვხედავთ, ეგ არის. ღიად პრორუსულ ძალებზე მეტად მაშფოთებენ ის ქართველი პოლიტიკოსები, რომლებიც წლებია, გამოდიან პროდასავლური დროშით. სწორედ ამათი მოქმედებები განაპირობებს, რომ ევროკავშირში ინტეგრაციაზე პრობლემები გვაქვს. თუმცა, დასავლეთი ინფორმირებულია და მშვენივრად უწყის, რომ არიან ფსევდოდასავლური ძალები. დროთა განმავლობაში ისინი დასუსტდებიან.

არავითარი მეორე ფრონტი არ იქნება, არც მეორე ომი არ იქნება საქართველოში

არავითარი მეორე ფრონტი არ იქნება, არც მეორე ომი არ იქნება საქართველოში, ჩვენ და ჩვენს ხალხს გვინდა მშვიდობა, სტაბილურობა და განვითარება.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, ევროპის შუაგულში მიმდინარეობს ფართომასშტაბიანი ომი, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ასეთი გამოწვევა ევროპას არ ჰქონია და გასაგებია უკრაინის მიმართ ევროპელების სკეპტიკური დამოკიდებულება.

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ საქართველომ ამ პროცესში მშვიდობა და სტაბილურობა შეინარჩუნა და ევროკავშირისგან სწორ და სამართლიან შეფასებას და გადაწყვეტილებას ელოდება.

– ჩვენ კარგად გვესმის და მე მინდა ჩვენს მოქალაქეებს ავუხსნა, რომ არ არის მარტივი სიტუაცია, ბუნებრივია. დღეს, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ასეთი გამოწვევა ევროპას არ ჰქონია. ევროპის შუაგულში, ევროპაში ყველაზე დიდ სახელმწიფოში, უკრაინაში მიმდინარეობს ფართომასშტაბიანი ომი, რომელიც არა მარტო უკრაინას და მის სუვერენიტეტს უქმნის საფრთხეს, არამედ საფრთხეს უქმნის ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურას.

რეალურად, ეს მთელი მსოფლიო წესრიგის დიდი გამოწვევაა. ამიტომ, ამ რეალობაში, ბუნებრივია, არსებობს სკეპტიციზმი ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის უკრაინასთან მიმართებაში, იმიტომ, რომ მათ არ სურთ მთელი ამ პრობლემების იმპორტირება, შეტანა ევროპაში. პრობლემების მთელი რიგი სხვა მიმართულებები არსებობს, რომელიც ომს და ომთან დაკავშირებულ საფრთხეებს უკავშირდება. ამ პროცესში ჩვენ, საქართველომ, შევინარჩუნეთ მშვიდობა, სტაბილურობა. მოგეხსენებათ, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ არავითარი მეორე ფრონტი არ იქნება, არც მეორე ომი არ იქნება საქართველოში. ჩვენ გვინდა მშვიდობა, სტაბილურობა და განვითარება, ჩვენ და ჩვენს ხალხს, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ირაკლი ღარიბაშვილი: „ევროკავშირში ბრძენი, გონიერი პოლიტიკოსები არიან“

ქვეყნის შიგნით მოქმედ დესტრუქციულ ძალებს ანტისახელმწიფოებრივი და უპასუხისმგებლო კამპანია აქვთ წამოწყებული საკუთარი ქვეყნის და მოქალაქეების წინააღმდეგ, მაგრამ მე მჯერა, რომ ევროკავშირში ბრძენი, გონიერი პოლიტიკოსები არიან და გონივრულ, ბრძნულ და სამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებენ.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ უვიზო რეჟიმის მინიჭებაზე გადაწყვეტილების მიღების დროსაც, ოპოზიცია ევროპელ პოლიტიკოსებს ემუდარებოდა, რომ „ქართული ოცნების“ მთავრობის დროს არ მიეცათ საქართველოსთვის უვიზო რეჟიმი და იგივე ხდება დღესაც.

– რა თქმა უნდა, სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ჩვენს შიგნით მოქმედი დესტრუქციული ძალები, ცდილობდნენ და ცდილობენ, ერთგვარად, მათ შორის შეკვეთილი სტატიებით, სიუჟეტებით, უცხოურ მედიაში, პრესაში, მათი შეხვედრებით ბრიუსელში, გაოცებულები მიყვებოდნენ ჩვენი ევროპელი კოლეგები, თუ რაოდენ ანტისახელმწიფოებრივი და უპასუხისმგებლო კამპანია არის წამოწყებული საკუთარი ქვეყნის, მოქალაქეების წინააღმდეგ.

მოგეხსენებათ, ამის თაობაზე ჩვენს მოქალაქეებს მივაწოდე ინფორმაცია და ერთგვარი ანგარიში ჩავაბარე. გახსოვთ კარგად, რომ მაშინ, როცა უვიზო რეჟიმზე იყო გადაწყვეტილება მიღებული, არწმუნებდნენ, სთხოვდნენ, ემუდარებოდნენ, რომ რაიმენაირად არ მიეცათ უვიზო რეჟიმი ქართველებისთვის, რომ იქნებ ამ მთავრობის დროს არ მოხდეს ასეთი დიდი, ისტორიული გადაწყვეტილების მიღებაო. იგივე ხდება დღესაც, მაგრამ, რა თქმა უნდა, მე მჯერა, რომ ევროკავშირში ბრძენი, გონიერი პოლიტიკოსები არიან და გონივრულ, ბრძნულ და სამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებენ, – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

მთავარი კითხვა არის „ქართულ ოცნებასთან“ — ისინი რას აკეთებენ?

„სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერის, გიორგი ვაშაძის განცხადებით, ოპოზიციური პარტიების ნაწილის „ალდეს“ წევრებთან მუშაობის შედეგად, საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭების მხარდაჭერის შესახებ რეზოლუცია მიიღეს.

როგორც ვაშაძემ აღნიშნა, რეზოლუცია პოლიტიკურმა პარტიებმა მოამზადეს, რომელიც საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვისათვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნების სტატუსის მინიჭების მხარდაჭერას ისახავს მიზნად.

– გარკვეული პერიოდის მუშაობის შედეგად მივიღეთ კონკრეტული დოკუმენტი. ევროპაში მესამე, ყველაზე დიდმა პოლიტიკურმა ძალამ, რომელიც არის ევროკავშირის მმართველი კოალიციის ნაწილი, ჩვენი რეზოლუცია დაამტკიცა.

რეზოლუციაში პირდაპირ მხარდაჭერილია საქართველოს ევროკავშირის კანდიდატი სტატუსის მინიჭება. ამ რეზოლუციაზე ვმუშაობდით ერთად „ალდეს“ პოლიტიკური ჯგუფის წევრები: „სტრატეგია აღმაშენებელი“, „თავისუფალი დემოკრატები“, „რესპუბლიკელები“, „გირჩი-მეტი თავისუფლება“ და „ლელო“.

აქ არის სამი მნიშვნელოვანი საკითხია: 1. საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭება აბსოლუტურად რეალურია და შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ „ქართული ოცნება“ რეალურად იმ სამუშაოს გასწევს, რაც, მაგალითად, ჩვენ გავწიეთ „ალდეს“ წევრებთან მიმართებით. 2. ოპოზიცია დადის ევროპაში, მუშაობს ევროპელ კოლეგებთან იმისთვის, რომ საქართველომ მიიღოს სრული მხარდაჭერა ამ ისტორიული შესაძლებლობის დროს. ამ ისტორიული შანსის გაშვების შესაძლებლობა თავიდან ბოლომდე ეკისრება ყველა პოლიტიკურ ძალას და საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომელიც ამ რეალობაში არის. 3. მთავარი კითხვა არის „ქართულ ოცნებასთან“ – ისინი რას აკეთებენ? სად არის ის კონკრეტული შედეგები, რომელიც მათი მუშაობის შედეგად იქნება და რაც მთავარია, დარწმუნებული ვარ, რომ გაეცა მთავარ სპეკულაციებს პასუხი, რასაც „ქართული ოცნების“ მხრიდან ჰქონდა ადგილი, რომ ოპოზიცია თითქოს ეწინააღმდეგება ევროკავშირის სტატუსის მინიჭებას.

აგერაა, ბატონო, რეზოლუცია, სწორედ ჩვენ მიერ ინიცირებული, „ალდეს“ პოლიტიკურ ჯგუფში, რომელიც არის ევროკავშირის მმართველი კოალიციის შემადგენელი ნაწილი და მათ დაამტკიცეს, მხარი დაუჭირეს ფაქტობრივად ერთხმად, საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას ევროკავშირის კანდიდატი სტატუსის მინიჭებას. და რაც მთავარია, მხარდამხარ ვიმუშავებთ ჩვენს უკრაინელ მეგობრებთან და ეს ძალიან მნიშვნელოვანია ამ პროცესში.

მაქსიმალურს გავაკეთებთ, რომ უახლოეს 2-3 კვირაში ჩვენ მივიღოთ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება იქნება 2-3 კვირაში და აქ ძალიან მნიშვნელოვანია „ქართული ოცნების“ რეალური ნაბიჯები და არა ის აღვირახსნილი თავდასხმები ევროპელ პარტნიორებზე, რასაც ისინი აკეთებენ, – განაცხადა გიორგი ვაშაძემ.

ამასთან, როგორც რეზოლუციის ტექსტში არის აღნიშნული, „ლიბერალთა და დემოკრატთა ალიანსის კონგრესი ევროპისთვის“ (ალდე) აღიარებს, რომ: სამივე ერი (საქართველო, უკრაინა, მოლდოვა) უკვე ათწლეულებია იბრძვის თავისუფლებისა და დემოკრატიისთვის; საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინის ხალხის ისტორიული არჩევანია ევროკავშირში გაწევრიანება;

მკაცრად გმობს: რუსეთის შეჭრას უკრაინაში და ყირიმისა და დონბასის ოკუპაციას; რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების 20%-ის მიმდინარე ოკუპაციას; რუსეთის მიერ მოლდოვაში დნესტრისპირეთის მიმდინარე ოკუპაციას;

ხაზს უსვამს: სამივე ქვეყანაში კანონის უზენაესობის, ძალაუფლების განაწილების დემოკრატიული პრინციპის, დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის, მედიის თავისუფლებისა და საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვის საკითხებზე უწყვეტი მუშაობის საჭიროებას და მნიშვნელობას. საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინის ევროკავშირის კანდიდატების სტატუსის მინიჭება იქნება დამატებითი გარღვევა ამ ქვეყნებში დემოკრატიის გასაძლიერებლად და რუსული გავლენისგან განთავისუფლებისთვის. ევროკავშირში გაწევრიანებისთვის, სამივე ქვეყნის მიერ კოპენჰაგენის კრიტერიუმების დაკმაყოფილების აუცილებლობას.

მოუწოდებს: ევროპულ საბჭოში წარმოდგენილ ევროკავშირის წევრ ქვეყნებს, რომ მიანიჭონ საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინას ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი ევროკავშირის საბჭოს მომავალ შეხვედრაზე 2022 წლის ივნისის ბოლოს.

„სააკაშვილის ექსპერტიზაში მონაწილეობას მივიღებთ“

საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ადვოკატის დიმიტრი საძაგლიშვილის განცხადებით, მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა უარესდება.

ამის შესახებ მან კლინიკა „ვივამედში“ მისი მონახულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა.

– მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით გეტყვით, რომ, სამწუხაროდ, მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა, პირიქით, ჩვენ ვხედავთ, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურად უარესდება.

რაც შეეხება სპეციალური საგამოძიებო სამსახურის განცხადებას, თავის დროზე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს მივმართეთ ჯერ კიდევ, როდესაც ასეთი სახელწოდებით არსებობდა საგამოძიებო სამსახური და სხვადასხვა სახის ექსპერტიზის ჩატარება მოვითხოვეთ, ოღონდ პარიტეტულ საწყისებზე, კომისიური ექსპერტიზის დანიშვნა და ჩატარება.

არ ვიცით, ამის შემდეგ რა მოქმედებები განახორციელა საგამოძიებო სამსახურმა. რეალურად, ეს ექსპერტიზები უნდა უკავშირდებოდეს გლდანის ციხეში მიხეილ სააკაშვილის მიმართ განხორციელებული არაადამიანური მოპყრობის და გორის ჰოსპიტალში მიხეილ სააკაშვილის მიმართ განხორციელებული არაადამიანური მოპყრობის დამადასტურებელი მტკიცებულებების მოპოვებას, მაგრამ ცხადია, ვიაზრებთ იმას, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, მთელი ინსტიტუტი გააუქმეს ზუსტად იმიტომ, რომ მიხეილ სააკაშვილის საქმეზე გამოძიებას აწარმოებდა.

გააუქმეს ზუსტად იმიტომ, რომ მან დაადგინა იუსტიციის სამინისტროს მხრიდან მიხეილ სააკაშვილის ფუნდამენტური უფლებების არაერთხელ დარღვევის ფაქტი.

შესაბამისად, ჩვენ სათანადო დასკვნები ამ ყველაფრიდან გამოგვაქვს. იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტიზა ჩატარებული იქნება სამართლიანობის პრინციპის დაცვით, ბუნებრივია, ჩვენ ამ ექსპერტიზაში მონაწილეობას მივიღებთ. ჩვენ გამოძიებას კითხვების ფორმულირებები შევთავაზეთ, რაც მიზანშეწონილად მიგვაჩნდა დამატებით მათ მიერ განხილულ კითხვებზე და მოვითხოვეთ პარიტეტის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის დაკომპლექტება. თუ ექსპერტიზის ჩამტარებელი პირების მიმართ რაიმე კითხვის ნიშანი იარსებებს სანდოობასთან დაკავშირებით, ასეთი ექსპერტიზის ჩატარებას აზრი არ ექნება. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოქმედებები და რა პოზიციას დაიკავებენ. ჩვენ ნებისმიერ მოქმედებაში, სადაც დაცული იქნება სამართლიანობისა და პროპორციულობის პრინციპები, მონაწილეობას აუცილებლად მივიღებთ, – განაცხადა საძაგლიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ხელმძღვანელის, კოკა კაციტაძის განცხადებით, მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით დამატებითი ექსპერტიზა ადვოკატის განცხადების საფუძველზე დაინიშნა.

როგორც კაციტაძე განმარტავს, დანიშნულია სასამართლო-სამედიცინო და ფსიქოლოგიური ექსპერტიზა, რომელიც მიხეილ სააკაშვილის ამჟამინდელ ჯანმრთელობის მდგომარეობას არ უკავშირდება.

კითხვაზე, ხომ არ არის აღნიშნული ექსპერტიზები დაგვიანებული, კაციტაძე პასუხობს, რომ გამოძიებას ყველა საჭირო მასალა აქვს, რომლის საფუძველზეც ექსპერტიზა უნდა ჩატარდეს.

გასულ 5 წელში ნიკა გვარამია ერთადერთია, რომელიც 220-ე მუხლის გამო ციხეში ჩასვეს

არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ აცხადებს, ბოლო 5 წლის მანძილზე პირველი ინსტანციის სასამართლოებმა უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მუხლზე ჯამში 11 საქმეზე 19 პირის მიმართ გამოიტანეს გამამტყუნებელი განაჩენი, თუმცა არც ერთის მიმართ რეალური საპატიმრო სასჯელი არ გამოუყენებიათ.

გამონაკლისი მხოლოდ „მთავარი არხის“ გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია აღმოჩნდა.

ორგანიზაციას ეს ინფორმაცია უზენაესი სასამართლოს მიერ მიწოდებული სტატისტიკის მიხედვით აქვს.

ცნობისთვის, სსკ-ს 220-ე მუხლით ბრალდებულ „მთავარი არხის“ გენერალურ დირექტორს, 2022 წლის 16 მაისს, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძის განაჩენით 3 წლისა და 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა.

საერთაშორისო ორგანიზაცია „რეპორტიორები საზღვრებს გარეშეს“ აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ოფისის ხელმძღვანელი, ჟან კავალიერი „მთავარ არხთან“ საუბრისას ხელისუფლებას კიდევ ერთხელ მოუწოდებს, გადაიხედოს ნიკა გვარამიას პოლიტიკურად მოტივირებული დაკავების გადაწყვეტილება.

მისი თქმით, შემაშფოთებელია ბოლო დროს საქართველოში დამოუკიდებელი და ოპოზიციური მედიისთვის მზარდი საფრთხეები.

– ასეთი საეჭვო საფუძვლების მქონე საქმეში განაჩენისა და სასჯელის სიმძიმის გამო ჩვენ ვფიქრობთ, რომ ნიკა გვარამიას წინააღმდეგ საქმე პოლიტიკურად მოტივირებულია, რაც მიზნად ისახავს ოპოზიციური არხის დასუსტებას. ამიტომაც, კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ ხელისუფლებასა და სასამართლოს, ნიკა გვარამიას ბრალი დამოუკიდებლად განიხილონ. საქართველოში ეს პირველი შემთხვევაა, როცა ოპოზიციური მედიის ხელმძღვანელს პატიმრობა მიუსაჯეს. შეგახსენებთ საქართველოს სახალხო დამცველის განცხადებას, სადაც მან აღნიშნა, რომ ამ საქმეში არ არის დანაშაულის ნიშნები.

ჩვენ შეშფოთებულები ვართ საქართველოს დამოუკიდებელი და ოპოზიციური მედიისთვის მზარდი საფრთხეების გამო. სასამართლო სისტემა საჭიროებს დამოუკიდებელი იყოს პოლიტიკური დაკვეთებისგან, ამ შემთხვევაში კი ეს ასე არ მოხდა, ეს დიდი პრობლემაა ქვეყნისთვის, რომელსაც ევროკავშირის წევრობა სურს, – თქვა ჟან კავალიერიმ.

25 გასროლა არაყიშვილის ქუჩაზე

„მთავარი არხის“ ექსკლუზიური კადრები – 25 გასროლა არაყიშვილის ქუჩაზე, რომლის დროსაც 2 ახალგაზრდა დაიჭრა, ადგილზე დამონტაჟებულმა სათვალთვალო კამერამ გადაიღო.

„მთავარი არხის“ მიერ მოპოვებულ კადრებში კარგად ჩანს გასროლის მომენტი და ორი შეიარაღებული თავდამსხმელი, რომელთა მთავარი სამიზნე სერგო ქურთიაშვილია.

მომხდარიდან ზუსტად 2 დღეში, სამართალდამცველები, კონსპირაციულ ბინაში აკავებენ ძმებ კაკულიებს – ე.წ. კანონიერი ქურდის, დათო თბილისკის შვილებს, რომლებიც საქართველოში სომხეთიდან არალეგალურად შემოვიდნენ, თუმცა არავინ იცის, რამდენი ხანი იმყოფებოდნენ თბილისში ძმები, ვისი სახელიც ბოლო დროის ყველაზე ხმაურიან მკვლელობას უკავშირდება.

სწორედ კაკულიების გვარი ფიგურირებს 22 წლის ნიკო კვარაცხელიას მკვლელობის საქმეში – ისინი დამკვეთებად სახელდებიან, თუმცა ამ ორ საქმეს, კაკულიების გვარის გარდა, ნიკო კვარაცხელიას საქმის კიდევ ერთი ფიგურანტი, ბუსა ჟვანიაც აერთიანებს.

სწორედ ყოფილი პრემიერის, ზურაბ ჟვანიას შვილს ეკუთვნოდა მანქანა, რომლითაც კვარაცხელიას მკვლელობაში ბრალდებულები სომხეთში გადავიდნენ, ახლა კი ბუსა ჟვანიას ეკუთვნის კაკულიას ჩანთიდან ამოღებული ზიგზაურის ტიპის იარაღი, რომელიც გარდაცვლილი ზურაბ ჟვანიას სახელზეა გაფორმებული.

11 წლის ბიჭის გაუპატიურების მცდელობის ფაქტზე დაკავებულს 15-დან 20 წლამდე, ან უვადო პატიმრობა ემუქრება

პროკურატურამ არასრულწლოვანის გაუპატიურების მცდელობის ფაქტზე დაკავებულ კაცს ბრალდება წარუდგინა.

შემთხვევა შიდა ქართლის ერთ-ერთ სოფელში მოხდა, შუა ხნის ასაკის კაცი, ადგილობრივების ინფორმაციით, მწყემსი 11 წლის ბიჭის გაუპატიურებას შეეცადა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული, არასრულწლოვანი დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით, მის გაუპატიურებას შეეცადა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული 31 მაისს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-137-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით წარედგინა (გაუპატიურების მცდელობა, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის მიმართ), რაც სასჯელის სახედ და ზომად თხუთმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“ – აცხადებს პროკურატურა.

პროკურატურა ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით, სასამართლოს კანონით დადგენილ ვადებში მიმართავს.

„მთავარი არხის“ ინფორმაციით, კაცმა დანაშაული აღიარა.

თბილისის საქალაქო სასამართლო განცხადებას ავრცელებს

თბილისის საქალაქო სასამართლო განცხადებას ავრცელებს. სასამართლოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში ნათქვამია, რომ 4 ივნისს ეთერში გავიდა ტელეკომპანია „პირველის“ მიერ მომზადებული სიუჟეტი, რომელშიც მოყვანილი იყო არასწორი ინფორმაცია შ.ჯ.-ს მიერ ჩადენილი შესაძლო სისხლის სამართლებრივი დანაშაულის გამო, მისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდების შესახებ.

„უნდა აღინიშნოს, რომ ტელეკომპანია „პირველის“ მიერ მოყვანილი ფაქტები წარმოადგენს რეალობის მორიგ, განზრახ დამახინჯების მცდელობას, რაც ემსახურება სასამართლოს დისკრედიტაციას.

2022 წლის 3 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიას შუამდგომლობით მომართა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურის პროკურორმა და ითხოვა ბრალდებულ შ.ჯ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება.

ბრალდებულ შ.ჯ.-ს ბრალად ედება, რომ ჩაიდინა ძარცვა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც ბრალდების დადასტურების შემთხვევაში ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით ოთხიდან ექვს წლამდე), ორი ეპიზოდი.

საქმის მასალების მიხედვით შ.ჯ.-მ 2022 წლის 1 ივნისს, დაახლოებით 07:50 საათზე ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირის მიმდებარედ განთავსებული შპს „ბუბუს“ კუთვნილი ჯიხურის მინა დააზიანა, საიდანაც აშკარად მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლა შპს „ბუბუ“-ს კუთვნილ 03 (სამი) ბოთლ ალკოჰოლურ სასმელს და გაიქცა დანაშაულის ჩადენის ადგილიდან, აღნიშნული ქმედების შედეგად დაზარალებულს მიადგა 350 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

2022 წლის 01 ივნისს დაახლოებით 08:30 საათზე, შ.ჯ.-მ ქ.თბილისში, მიცკევიჩის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, ა.ბ.-ს პერანგის ჯიბეში ჩაუყო ხელი და აშკარად მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ამოაცალა კუთვნილი „სამსუნგის“ ფირმის მობილური ტელეფონი და გაიქცა დანაშაულის ჩადენის ადგილიდან, აღნიშნული ქმედების შედეგად დაზარალებულს მიადგა 800 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას სასამართლო ხელმძღვანელობს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით. აღნიშნულ საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება, ჩასატარებელია როგორც საპროცესო, ისე საგამოძიებო მოქმედებები. ბრალდებულ შ.ჯ.-ს ბრალი ედება საკუთრების წინააღმდეგ მიმართული განზრახი, ძალადობრივი ხასიათის დანაშაულის ორი ეპიზოდის შესაძლო ჩადენაში, ამასთან, როგორც სასამართლო სხდომაზე დაცვის მხარემ განმარტა, ბრალდებულს აქვს ფსიქიკური პრობლემები და არ ახსოვს შესაძლო დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენა. ხოლო პროკურორმა განმარტა, რომ ბრალდებული შ.ჯ. დროებითი მოთავსების იზოლატორში გახდა აგრესიული, რის გამოც გადაყვანილი იქნა „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში“.

ყოველივე აღნიშნული იძლევა საფუძველს ვარაუდისთვის, რომ ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების პირობებში, ბრალდებული განაგრძობს დანაშაულებრივ საქმიანობას. მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე არსებობს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების როგორც ფაქტობრივი (მტკიცებულებითი), ისე ფორმალური საფუძვლები, რის გამოც სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება ბრალდებულის მიმართ, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების თაობაზე“, – ნათქვამია სასამართლოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

გალიფ ოზთურქი: „სიკეთის გარდა, არაფერი მიკეთებია“

ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე კოტე ჭილაია თურქი ბიზნესმენის გალიფ ოზთურქის მიმართ აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებით, გადაწყვეტილების მისაღებად სათათბიროდ გავიდა და მას 2-თვიანი პატიმრობა მიუსაჯა.

პროცესზე როგორც დაცვის, ასევე ბრალდების მხარემ სასამართლოს სიტყვით მიმართეს.

დაცვის მხარე სასამართლოს ოზთურქის გათავისუფლების სანაცვლოდ გირაოს – ერთ მილიონ ლარს სთავაზობდა.

ადვოკატები აცხადებდნენ, რომ ბიზნესმენ გალიფ ოზთურქს უსაფუძვლო ბრალდება აქვს წარდგენილი.

ბრალდების მხარე კი აცხადებს, რომ საქმეში ფინანსური დანაშაული იკვეთება და საქმეზე დამატებით გამოძიება მიმდინარეობს.

თავად ბრალდებული გალიფ ოზთურქი ბრალს არ აღიარებს და აცხადებს, რომ საგამოძიებო პროცესში სახლში იმყოფებოდა.

– 8 წელი საქართველოში ვიმყოფები, სიკეთის გარდა არაფერი მიკეთებია. სახელმწიფოს ბიზნესპროექტების განხორციელებაში ვეხმარებოდი. უარვყოფ წარდგენილ ბრალდებას და არ ვეთანხმები. ვაპირებ, რომ სამართლებრივი ბრძოლა გავაგრძელო.

შემიძლია გირაოს სახით რამდენიმე მილიონიანი ქონება შემოგთავაზოთ, მათ შორის ერთი მილიონი ლარი, თუ სასამართლოს სურვილი აქვს, შეუძლია გაზარდოს გირაოს ოდენობა. თუ სასამართლო ჩათვლის საჭიროდ, ელექტრონული მონიტორინგის ქვეშ ვიქნები. მიყვარს საქართველო, დიდ პატივს ვცემ ქართველებს, მთელი რესური აქ მაქვს ჩადებული და წასვლას არსად ვაპირებ, – განაცხადა გალიფ ოზთურქმა.

ქარელის რაიონში ავარიას ქვეითად მოსიარულე ემსხვერპლა

ქარელის რაიონის სოფელ საღოლაშენთან ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, რასაც ერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

არსებული ინფორმაციით, ავტომობილი ქვეითად მოსიარულე მამაკაცს დაეჯახა, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა.

თბილისში, გმირთა მოედანზე, ავტომანქანა ამობრუნდა

თბილისში, გმირთა მოედანზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. არსებული ინფორმაციით, ავტომანქანა ხიდზე მოძრაობდა, რომლის დროსაც ის პანდუსს შეეჯახა და ამობრუნდა.

შემთხვევის შედეგად ერთი პირი დაშავდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

ნატო შვედეთსა და ფინეთთან ერთად ბალტიის ზღვაში ერთობლივ წვრთნებს ატარებს

6 ივნისს, ნატო-მ ბალტიის ზღვაში თითქმის ორკვირიანი საზღვაო წვრთნები დაიწყო, რომელშიც 7.000-ზე მეტი მეზღვაური, საჰაერო ძალების წარმომადგენელი და 16 ქვეყნიდან საზღვაო ქვეითი იღებს მონაწილეობს.

ყოველწლიური საზღვაო წვრთნები ბალტორს 1972 წელს დაიწყო. სამხედრო ალიანსმა განაცხადა, რომ „შვედეთისა და ფინეთის მონაწილეობით, ნატო იყენებს შანსს არაპროგნოზირებად სამყაროში, გააძლიეროს თავისი ერთობლივი ძალების გამძლეობა და ძალა“ ორ სკანდინავიურ ასპირანტ ერთან ერთად.

ბალტორს 22-ის საზღვაო წვრთნებში 45 ხომალდი და 75 თვითმფრინავი მონაწილეობს. აშშ-ის სამხედრო მაღალჩინოსანმა შვედეთში, წვრთნების მასპინძელმა განაცხადა, რომ ნატო-სთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჰელსინკისა და სტოკჰოლმის მთავრობების მხარდაჭერა.

– ჩვენთვის, შეერთებული შტატებისთვის და ნატო-ს სხვა ქვეყნებისთვის მნიშვნელოვანია ამ წვრთნებში სოლიდარობა გამოვხატოთ როგორც ფინეთთან, ასევე შვედეთთან, – განაცხადა ამერიკელმა გენერალმა, აშშ-ის შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსების კომიტეტის თავმჯდომარემ მარკ მილიმ.

წვრთნების დასრულება გერმანიის პორტში 17 ივნისს იგეგმება.

ფილადელფიაში სროლისას 3 ადამიანი დაიღუპა, 11 კი დაშავდა

პოლიციის განცხადებით, სულ მცირე 3 ადამიანი დაიღუპა და 11 დაშავდა მას შემდეგ, რაც ფილადელფიაში, ერთ-ერთ უბანში ღამით, რამდენიმე ადამიანმა ცეცხლი გახსნა. ამის შესახებ ინფორმაცია მედიაში ვრცელდება.

ფილადელფიის პოლიციის ინსპექტორის ცნობით, რაიონში ოფიცრები პატრულირებდნენ, როდესაც შუაღამემდე ცოტა ხნით ადრე სროლის ხმა გაიგეს.

ოფიცრებმა რამდენიმე მსროლელი დააფიქსირეს.

ოფიციალური პირების თქმით, დაღუპულთა შორის 2 მამაკაცი და 1 ქალია.

ადგილზე 2 იარაღი ამოიღეს, მაგრამ ამ დროისთვის დაკავებულები არ არიან.

მედიის ცნობით, მიმდინარე წლის განმავლობაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში სულ მცირე, 239 მასობრივი სროლა მოხდა.

მედვედევის შვილს ამერიკაში ვიზა გაუუქმდა

დიმიტრი მედვედევის შვილს ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზა გაუუქმდა. ამის შესახებ ინფორმაციას ნექსტა უცხოურ მედიაზე დაყრდნობით „ტელეგრამ“ გვერდზე ავრცელებს.

გამომცემლობის ინფორმაციით, ილია მედვედევმა შტატები ორ დღეში უნდა დატოვოს.

ეს ინფორმაცია ჯერჯერობით ოფიციალურად არ დასტურდება. მედვედევს ამ მოვლენაზე კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია.

უკრაინის გენშტაბი: „ოკუპანტები სევეროდონეცკზე შტურმს განაგრძობენ“

რუსი ოკუპანტები სევეროდონეცკზე შტურმს განაგრძობენ.

ამის შესახებ უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი იუწყება.

„სევეროდონეცკის მიმართულებით მტერი ჩვენს ჯარებს სხვადასხვა ტიპის ნაღმმტყორცნებითა და საარტილერიო სისტემებით უხსნიდა ცეცხლს. დაზიანდა სამოქალაქო ინფრასტრუქტურა მეტელკინოს, ბოროვსკოეს, უსტინოვკას, ტოშკოვკას და სხვა დასახლებებში. დამპყრობლები აგრძელებენ სევეროდონეცკზე შტურმს“ – აღნიშნულია გენშტაბის ანგარიშში.

მათივე ცნობით, ბახმუტის მიმართულებით, მტერმა ქვედანაყოფების პოზიციები ნაღმტყორცნებისა და არტილერიის გამოყენებით დაბომბა ზოლოტეს, ორეხოვოს, გორნოეს, ვრუბივკას, კლინოვოის, ბელოგოროვკას, პოკროვსკოეს და როტის დასახლებები.

„მტერმა განახორციელა თავდასხმის ოპერაციები კამიშევახის, ბერესტოვოსა და ნიკოლაევკას დასახლებებში, თუმცა მნიშვნელოვანი დანაკარგები განიცადა და წარმატებას ვერ მიაღწია, ბრძოლა გრძელდება“ – აცხადებენ გენშტაბში.

მათივე ინფორმაციით, რუსულმა ძალებმა ცეცხლი გაუხსნეს სამოქალაქო ინფრასტრუქტურას ნოვობახმუტივკას, კამიანკას, ავდიივკას, მიკილსკის, ზოლოტა ნივას და პოლტავკას რაიონებში.

ამასთან, იუჟნობუგსკის მიმართულებით, ოკუპანტებმა ტავრიისკეს, ნოვა ზორიას, სტეპოვა დოლინას, ნოვომიკოლაივკასა და კობზარცის დასახლებების ტერიტორიებზე ცეცხლი გახსნეს სხვადასხვა კალიბრის არტილერიის გამოყენებით.

უკრაინის გენერალური შტაბის ინფორმაციით, უკრაინელმა სამხედროებმა, ბოლო 24 საათის განმავლობაში, დონეცკისა და ლუგანსკის მიმართულებით მტრის შვიდი თავდასხმა მოიგერიეს.

„განადგურდა მტრის ოთხი ტანკი, სამი საარტილერიო სისტემა, რვა ჯავშანტექნიკა და სამი ერთეული მანქანა. საჰაერო თავდაცვის ქვედანაყოფებმა ჩამოაგდეს „კა-52“ ტიპის საბრძოლო ვერტმფრენი და უპილოტო საფრენი აპარატი“ – აღნიშნულია ინფორმაციაში.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ქალეიდოსკოპი

პატარძალმა დაქალი ქორწილიდან გააგდო

სოციალური ქსელის მომხმარებელმა განაცხადა, რომ საკუთარი ქორწილიდან თავისი საუკეთესო დაქალი იმის გამო გააგდო, რომ ის საქორწინო კაბაში გამოწყობილი გამოცხადდა.

გოგონამ 20 კაცზე გათვალისწინებული ქორწილი მოაწყო და ხელისმომკიდედ დაქალი ენდი შეარჩია, რომელთანაც სკოლიდან მეგობრობდა. მისი თქმით, ის ჯერ კიდევ სკოლაში ავლენდა ცუდ ხასიათს და ზოგჯერ გულსაც სტკენდა. თუმცა ამჯერად მან იფიქრა, რომ ენდი გაიზარდა, დასერიოზულდა, უკეთესობისკენ შეიცვალა და სწორედ ამიტომ აირჩია ხელისმომკიდედ.

თავდაპირველად დაქალმა ვარდისფერი კაბა შეარჩია, თუმცა ქორწილამდე რამდენიმე დღით ადრე დაურეკა და უთხრა, რომ მისთვის სიურპრიზს ამზადებდა. გოგონა ფიქრობდა, რომ საუბარი იყო საქორწინო საჩუქარზე და ვერც კი წარმოიდგენდა, თუ როგორ ცდებოდა.

ენდი ცერემონიის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე თეთრ მაქმანებიან საქორწინო კაბასა და ფატაში გამოწყობილი გამოჩნდა. ამის გამო დაქალებმა იჩხუბეს. ენდი შეპირდა, რომ კაბას გამოიცვლიდა, მაგრამ პატარძალი ისე იყო გაბრაზებული, რომ მას არც კი მოუსმინა და ქორწილიდან გააგდო. ამის საპასუხოდ მას მცირე რაოდენობის სტუმრების გამო დასცინა და უთხრა, რომ მას, უბრალოდ, მისი მშვენიერი ფიგურის გამო შურდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სპორტი

თბილისი გრანდ სლემი ქართველი ძიუდოისტების დომინირებით დასრულდა

დასრულდა თბილისის გრან სლემი ძიუდოში. საქართველოს დედაქალაქს 36 ქვეყნის 278 ძიუდოისტი (173 კაცი და 105 ქალი) ეწვია. მათ შორის იყოს იაპონიის მცირერიცხოვანი გუნდიც, რომელიც თბილისურ ტატამს ხანგრძლივი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა.

საქართველოს კაცთა ნაკრები, როგორც მასპინძელი, თითოეულ წონაში 4 ძიუდოისტით (28) არის წარმოდგენილი, ქალებში – 11.

გრან სლემის პირველი დღე კაცთა საწყის საქართველოს ნაკრებმა ხუთი მედალი მოიპოვა. ყველაზე წარმატებული უმსუბუქესი წონა გამოდგა. 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში ქართული ფინალი შედგა. თემურ ნოზაძემ გადამწყვეტ შეხვედრაში გიორგი სარდალაშვილი დაამარცხა და კვარცხლბეკის პირველ საფეხურზე ავიდა.

66 კილოგრამ წონით კატეგორიაში გიორგი თუთაშვილს ჩემპიონობამდე ნაბიჯი დააკლდა – ფინალში ტრავმის გამო ვერ გამოცხადდა. ამავე წონაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ვაჟა მარგველაშვილმა. მან გადამწყვეტ შეხვედრაში ბრაზილიელ ვილიამ ლიმაზს წმინდად მოუგო.

მე-2 დღეს, 73 და -81 კილოგრამ წონით კატეგორიებში გათამაშებული მედლების კომპლექტიდან ლაშა გუჯეჯიანის გუნდმა 3-ვე ხარისხის თითო მედალი მოიპოვა. მათ შორის ყველაზე წარმატებული 73 კილოგრამ წონითი კატეგორია გამოდგა.

საქართველოს ნაკრების ლიდერი ლაშა შავდათუაშვილი ასპარეზობას მეორე წრიდან შეუდგა. თავდაპირველად კორეელ მეტოქეს მოუგო, მერე იპონით დაამარცხა ბრაზილიელი მოწინააღმდეგე, მეოთხედფინალში ტაჯიკ ძიუდოისტს აჯობა, ნახევარფინალში კი ოქროს ქულამდე გაგრძელებულ ორთაბრძოლაში თანაგუნდელ გიორგი ტერაშვილთან გაფრთხილებების ხარჯზე გაიმარჯვა და ფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვა. გადამწყვეტ შეხვედრაში ქართველი ოლიმპიური, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი იაპონელ კენ ოიოშის ოქროს ქულამდე გაგრძელებულ შეხვედრაში იპონით გაუმკლავდა.

ბრინჯაოს შანსი წარმატებით გამოიყენა გიორგი ტერაშვილმა – მე-3 ადგილისთვის შეხვედრაში იტალიელ მანუელ ლომბარდოს წმინდად მოუგო.

კვარცხლბეკის პირველ საფეხურამდე ნაბიჯი დააკლდა ევროპის ორგზის ჩემპიონს და მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის მედლის მფლობელ ტატო გრიგალაშვილს (81). მან ფინალამდე ტაჯიკ, პუერტორიკოელ, იტალიელ და აზერბაიჯანელ მეტოქეებს აჯობა, გადამწყვეტ შეხვედრაში კი კორეელ იუნვან ლისთან იპონით დამარცხდა და თბილისური გრანდ სლემი ვერცხლის მედლით დაასრულა.

დასკვნით დღეს ვაჟებმა 3 წონაში 5 მედალი მოიპოვა:

90 კილოგრამ წონით კატეგორიაში ოქროს მედალი მიიღო ბექა ღვინიაშვილმა. მომავალმა ჩემპიონმა პირველი წრე გამოტოვა, ფინალისკენ მიმავალ გზაზე კი დაამარცხა ყაზახი და უკრაინელი მოწინააღმდეგეები, ასევე თანაგუნდელი გიორგი პაპუნაშვილი, გადამწყვეტ შეხვედრაში კი უნგრელ კრისტიან ტოტს მოუგო და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

100 კილოგრამ წონით კატეგორიაში საქმე ქართულ ფინალამდე მივიდა. ონისე სანებლიძემ გადამწყვეტ შეხვედრაში გიორგი ბერიაშვილს წმინდად აჯობა, იქამდე კი დაამარცხა ყაზახი, გერმანელი და უზბეკი ძიუდოისტები.

ვერცხლის მედლის მფლობელმა ბერიაშვილმა ფინალამდე გზიდან ჩამოიშორა გერმანელი და ყაზახი მოწინააღმდეგეები, ნახევარფინალში კი, თანაგუნდელ ილია სულამანიძესთან მოუწია ურთიერთობის გარკვევა, რომელიც იპონით დაამარცხა.

2 მედალია მძიმეწონოსანთა ანგარიშზეც. გელა ზაალიშვილმა პირველ წრეში არაბეთის გაერთიანებული საამიროების წარმომადგენელი დაამარცხა, მეორეში თანაგუნდელი ლევან მატიაშვილი, ნახევარფინალში უზბეკი ძიუდოისტს აჯობა, გადამწყვეტ შეხვედრაში კი, ასევე უზბეკ ალიშერ იუსუპოვს იპონით მოუგო.

ბრინჯაოს მედლით დაასრულა თბილისის გრან სლემი ლევან მატიაშვილმა, რომელიც მე-3 ადგილისთვის შეხვედრაში ონისე თანაგუნდელ ბუღაძეს აჯობა.

2 მედალია ქალთა ნაკრების ანგარიშზე. ჩვენი გუნდის ლიდერმა ეთერ ლიპარტელიანმა მე-3 ადგილისთვის შეხვედრაში იტალიელ ვერონიკა ტონიოლოზს ოქროს ქულით აჯობა.

მედალი მოიპოვა სოფიო სომხიშვილმაც (+78 კგ), ვინაც მე-3 ადგილისთვის შეხვედრაში ფრანგი ჯულია ტოლოფუ წმინდად დაამარცხა.

ქართველმა ძიუდოისტებმა ჯამში 5 ოქროს, 4 ვერცხლისა და 5 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს და საერთო ჩათვლაში გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ქალეიდოსკოპი

ფრანგები საზოგადოებრივ ადგილებში ნემსებით ჩხვლეტას უჩივიან

სამასზე მეტმა ფრანგმა იმის გამო დაიჩივლა, რომ ისინი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ნემსებით დაიჩხვლიტნენ.

18 წლის ტომას ლიუკსმა რეპ-შემსრულებლის კონცერტზე დასწრების შემდეგ ხელზე მცირე ნაჩხვლეტი და ჩალურჯება აღმოაჩინა. ახალგაზრდა მამაკაცმა თავი შეუძლოდ იგრძნო, მაგრამ იმ მომენტში გადაწყვიტა, ექიმისთვის არ მიემართა. მეორე დღეს თავბრუსხვევამ და ტკივილმა არ გაუარა და დახმარებისთვის სასწრაფო დახმარების განყოფილებას მიმართა. ექიმებმა ნანემსარის არსებობა დაადასტურეს და პაციენტს ჰეპატიტსა და შიდსზე ანალიზები აუღეს. ორივეს პასუხი უარყოფითი აღმოჩნდა.

მსგავს შემთხვევას ჰქონდა ადგილი ბორდოში 18 წლის ლიაინ დენსონის შემთხვევაშიც. გოგონამ ნემსით ჩხვლეტა ღამის კლუბში მიიღო და დახმარებისთვის ექიმებს მიმართა. მას თავბრუსხვევა და მაღალი ტემპერატურა აღენიშნებოდა. მას ანალიზები აუღეს და ახლა ის მის პასუხებს ელის.

ნემსებით დაჩხვლეტის თაობაზე ინფორმაციები გავრცელდა პარიზში, ტულუზაში, ნანტში, ნანსში, რენსა და საფრანგეთის სხვადასხვა ქალაქებში. საფრანგეთის ეროვნული პოლიციის მონაცემებით, ნემსით დაჩხვლეტის თაობაზე განცხადება 302 ადამიანმა შეიტანა. აღნიშნულ შემთხვევებზე გამოძიება დაიწყო, თუმცა ჯერჯერობით ეჭვმიტანილები არ გამოუვლენიათ.

მერაია კერის წინააღმდეგ 20-მილიონიანი სარჩელი შეიტანეს

მომღერალ მერაია კერის სიმღერა All i Want for Christmas is You-ს პლაგიატობაში დასდეს ბრალი და მისგან კომპენსაციის სახით 20 მილიონ დოლარს მოითხოვენ.

სიმღერის ავტორმა ენდი სტოუნმა სარჩელით აშშ-ის ლუიზიანას აღმოსავლეთ ოლქის საოლქო სასამართლოს მიმართა, რომელშიც მომღერალი საავტორო უფლებების დარღვევაში დაადანაშაულა. სტოუნის თქმით, მან სიმღერა All i Want for Christmas is You-ი იმაზე გაცილებით დიდი ხნით ადრე ჩაწერა, ვიდრე მერაია კერი თავის იგივე სახელწოდების საშობაო ჰიტს გამოუშვებდა.

სტოუნი ამტკიცებს, რომ კომპოზიცია მან ნეშვილში ჯერ კიდევ 1989 წელს ჩაწერა, 1993 წელს ის გადაიცემოდა რადიოთი და მაშინვე იქნა გადაღებული კლიპი. რაც შეეხება კერის ტრეკს, მისი დებიუტი 1994 წელს შედგა. მართალია სიმღერების ჟღერადობა განსხვავებულია, მოსარჩელე შემსრულებლისგან სოლიდურ კომპენსაციას – 20 მილიონ დოლარს მოითხოვს, მის მიერ მოგონილი სახელწოდების მასთან შეუთანხმებლად გამოყენებისთვის.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● 45-წლიანი გამოცდილებით გთავაზობთ პარაფსიქოლოგის მომსახურებას – გაუმართლებლობა, ქალის ბედის გახსნა, მტრის ჩამოშორება, შებოჭილობა, დეპრესია, კოშმარული სიზმრები, პიროვნებებს შორის აგრესიები, მოღალატე ქმრის მორჯულება, ეჭვიანობა, თვითმკვლელობის სურვილი, პათოლოგიური სიმთვრალე და კიდევ მრავალი პრობლემის მოგვარება, შესაძლებელია პაციენტის გარეშეც. ფოტოსურათი აუცილებელია. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება წინასწარი ჩაწერით.

ლაშა ტალახაძე ევროპის ჩემპიონია

ალბანეთში დასრულებულ ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატის დასკვნით დღეს ლაშა ტალახაძემ საქართველოს ჰიმნი ააჟღერა.

კონტინენტის საუკეთესო ძალოსანი ევროპის ჩემპიონი მეექვსედ გახდა.

ქართველმა ძალოსანმა ატაცში სამივე მისვლა გამოიყენა – 208, 212 და 217 კილოგრამი დაძლია და ოქროს მედალი მოიპოვა.

წარმატებით შეუდგა გამოსვლას აკვრაშიც. პირველ მისვლაზე 245 კილოგრამი დაიმორჩილა და ფაქტობრივად, ჩემპიონობა დაიბევა. მე-2 მისვლაზე 253 კილოგრამი შეუკვეთა და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, წონა ვერ დაიმორჩილა, შემდეგ კი, მე-3 მისვლაზე უარი თქვა, მაგრამ ამას ოქროს მედლის მოპოვებაში ხელი არ შეუშლია.

რა თქმა უნდა, ოქროს მედალი ერგო ორჭიდის ჯამში დაგროვილი 462 კილოგრამით.

ჰო, აქვე გეტყვით, რომ ლაშამ ალბანეთში მედლები ტრავმირებულმა მოიპოვა და მე-3 მისვლაზეც უარი ამიტომ თქვა..

109 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე გიორგი ჩხეიძემ უფროსებში მისთვის პირველ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია.

საქართველოს ნაკრების წარმომადგენელმა ატაცში 174 კილოგრამი დაიმორჩილა და მე-2 ადგილზე გავიდა. მე-2 ადგილი ერგო აკვრაში დაძლეული 210 კილოგრამითაც და საბოლოოდ, ორჭიდის ჯამშიც მე-2 ადგილი დაიკავა – 384 კილოგრამით.

ცოტა უცნაური შედეგი დააფიქსირა 89 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე რეზი დავითაძემ. ჩვენებური ატაცში (171 კილოგრამი) მე-4 ადგილზე გავიდა. დავითაძე აკვრაშიც (198 კილოგრამი) მე-4 აღმოჩნდა, მაგრამ ორჭიდის ჯამში დაგროვილი 369 კილოგრამით კვარცხლბეკზე ასვლის პატივი მაინც ერგო და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

3-ჯერ მოუწია კვარცხლბეკზე ასვლა 73 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე კახი ასანიძესაც. პირველად ატაცში დაძლეული 150 კილოგრამით, როდესაც ვერცხლის მედალი მოიპოვა; მეორედ აკვრაში დამორჩილებული 176 კილოგრამით, სადაც ბრინჯაოს მედალი ერგო; და მესამედ ორჭიდის ჯამში – 326 კილოგრამით კვარცხლბეკის მეორე საფეხური დაიკავა და ვერცხლის მედალი გადაეცა.

აღსანიშნავია, რომ კახი ასანიძემ უფროსებში პირველად მოიპოვა მედლები.

შოთა მიშველიძემ მისთვის ახალ, 67 კილოგრამ წონით კატეგორიაში დებიუტშივე მედლები მოიპოვა, ამასთან – სამივე ხარისხის.

ატაცში 142 კილოგრამი დაიმორჩილა და ოქროს მედალი აიღო, ხოლო აკვრაში დაძლეული 165 კილოგრამით – ბრინჯაო. მიშველიძეს ორჭიდის ჯამში 307 კილოგრამი დაუგროვდა და ასპარეზობა ვერცხლის მედლით დაასრულა.

ევროპის ჩემპიონატი შედეგიანი გამოდგა ქალთა ნაკრებისთვისაც. ანასტასია გოტფრიდმა (87 კგ) ატაცში 106 კილოგრამის დაძლევით ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ახლოს იყო ბრინჯაოსთან აკვრაშიც, სადაც 129 კილოგრამის დამორჩილებით მე-4 შედეგი აღმოაჩნდა, მაგრამ ორჭიდის ჯამში დაგროვილი 235 კილოგრამით კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე მაინც ავიდა.

სულ, საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატი ორჭიდის ჯამში 1 ოქროს, 3 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედლით დაასრულა, ხოლო ყველა დისციპლინაში – 16.

შედეგები

5 ივნისი

ფეხბურთი

მრ 2022. საკვალიფიკაციო ეტაპი

ფლეი ოფი

უელსი-უკრაინა 1:0

უეფას ეროვნული ლიგა

ა დივიზიონი

პორტუგალია-შვეიცარია 4:0

ჩეხეთი-ესპანეთი 2:2

ბ დივიზიონი

სერბეთი-სლოვენია 4:1

შვედეთი-ნორვეგია 1:2

ც დივიზიონი

გიბრალტარი-ჩრ.მაკედონია 0:2

კვიპროსი-ჩრ.ირლანდია 0:0

ბულგარეთი-საქართველო 2:5

კოსოვო-საბერძნეთი 0:1

დ დივიზიონი

სან მარინო-მალტა 0:2

ყონკაკაფის ეროვნული ლიგა

სურინამი-იამაიკა 1:1

სალვადორი-გრენადა 3:1

კოსტა რიკა-მარტინიკა 2:0

აფრიკის ეროვნული თასი

ბოტსვანა-ტუნისი 0:0

მადაგასკარი-ანგოლა 1:1

მალავი-ეთიოპია 2:1

ც.აფრიკა-განა 1:1

ეგვიპტე-გვინეა 1:0

ამხანაგური მატჩები

პერუ-ა.ზელანდია 1:0

ს.არაბეთი-კოლუმბია 0:1

არგენტინა-ესტონეთი 5:0

ერ 2023. საკვალიფიკაციო ეტაპი (21)

ბელგია-შოტლანდია 0:0

უკრაინა-ჩრ.მაკედონია 4:0

საქართველომ ბულგარეთი დაამარცხა და ჯგუფს ლიდერობს

ბულგარეთი-საქართველო 2:5

რაზგრადი. ჰუვეფარმა

0:1 დავითაშვილი (4), 0:2 ხრისტოვი (31სკ), 1:2 ილიევი (49), 1:3 ზივზივაძე (52), 1:4 კვარაცხელია (58პ), 1:5 ყაზაიშვილი (70), 2:5 სტეფანოვი (83)

90-წუთზე კვეკვესკირმა ვერ გაიტანა პენალტი (ძეღლი)

ბულგარეთი: მიხაილოვი, ტურიცოვი (პოპოვი 64), ა.ხრისტოვი, ნედიალკოვი, იორდანოვი (პ.ხრისტოვი 46), ნედელევი (კრასტევი 64), ჩოჩევი, მილანოვი (სტეფანოვი 46), დესპოდოვი, მინჩევი (იანკოვი 64), ილიევი

საქართველო: ლორია, კაკაბაძე (კიტეიშვილი 84), კაშია, ხოჭოლავა, კვეკვესკირი, აბურჯანია (გვილია 75), კვირკველია, აზაროვი, დავითაშვილი (მამუჩაშვილი 75), კვარაცხელია (ყაზაიშვილი 68), ზივზივაძე (მიქაუტაძე 68)

თამამად ვიტყვით, რომ ეს მატჩი საქართველოს ნაკრების ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

როგორც იქნა საქართველოს ნაკრებმა ის ფეხბურთი აჩვენა, რასაც ქართველი გულშემატკივრები 30 წელია ელიან. ვილი სანიოლის გაწვრთნილმა გუნდმა რაზგრადში ბულგარეთის ნაკრები 5:2 გაანადგურა. აქამდეც გვქონია მსგავსი ტიპის გამარჯვება, მაგრამ ეს საქართველოს ნაკრები საერთოდ სხვა ფორმაციის გუნდად ყალიბდება. ფეხბურთელებს გაუჯდათ გამარჯვებული მენტალიტეტის გრძნობა – გუნდს უკვე 7 მატჩია არ წაუგია.

მიუხედავად იმისა, რომ იყო ხარვეზები, განსაკუთრებით დაცვაში, ჩვენი ნაკრებისგან ასეთი გააზრებული თამაში და „დახატული“ კომბინაციები ერთ თამაშში არ გვახსენდება.

შეიძლება ითქვას, რომ ვილი სანიოლი საქართველოს ნაკრებს მოერგო. უნდა ითქვას ისიც, რომ ჩვენი ნაკრები ორგანიზებულ ფეხბურთს თამაშობს. ერთია, „მაღალი“ პრესინგის თამაში უჭირს. აკი თქვა კიდეც პრესკონფერენციაზე მუსიე ვილიმ, ჩვენ ასეთი თამაში უფრო გვაწყობს, შემტევებს მეტი სივრცე ეხსნებათ და კონტრშეტევებზე მათი სისწრაფეებია გამოსაყენებელიო. ეს კარგად გამოგვდის ბულგარეთის ნაკრებთან, მაგრამ რამდენად მოგვცემს იგივეს სხვა, გაცილებით უფრო ძლიერი გუნდი. ამ კომპონენტში მოსამატებელი გვაქვს და, იმედია, სანიოლიც მოამატებინებს.

თუმცა, ეს მომავალში და უახლოეს მომავალში, მანამდე კი, დავტკბეთ ჩვენი გუნდის ლამაზი თამაშით და მისაღები შედეგით.

მოგვეწონა სანიოლის შეცვლებიც, არა მარტო ბულგარულ მატჩში, არამედ გიბრალტართანაც. ფრანგი სპეციალისტი როტაციასაც მშვენივრად მიმართავს და ყველასგან გასაკვირად, წინა მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი საბა ლობჟანიძე სათადარიგოთა სკამზე დატოვა.

ახლა მატჩზეც ვთქვათ: ანგარიში ხვიჩა კვარაცხელიას პასითა და ზურიკო დავითაშვილის მოხდენილი თავურით გავხსენით. ეს დასაწყისშივე მოხდა. ამ გოლმა ჩვენებს „ფრთები“ შეასხა, გაალაღა და კონტრშეტევებზე მეთოდურად „კლავდა“ მეტოქეს. მალევე კიდევ გავიდა ერთი გოლი, მაგრამ ბუდუ ზივზივაძეს არ ჩაუთვალეს. შემდეგ კვარაცხელიამ საჯარიმოში ბურთი ირაკლი აზაროვს გააყოლა, რომელიც ზივზივაძეზე გამჭოლ პასს აკეთებდა, მაგრამ ვინ აცადა – მცველმა ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა.

მე-2 ტაიმის დასაწყისში გოლი გავუშვით – დაცვის ცენტრს ილიევი გაეპარა და ანგარიშში სხვაობა შეამცირა.

ასეთ დროს ჩვენი გუნდი ბევრჯერ გატეხილა, მაგრამ ახლა ასე არ მოხდა. პირიქით, 2 წუთში სტატუს კვო აღდგა – აზაროვი-აბურჯანია-ზივზივაძე და ქართველი ქომაგები, რომლებიც სტადიონზე მასპინძლებზე ნაკლები არ იყვნენ, ისევ ხარობენ.

გავიდა ხუთიოდე წუთი და ფლანგზე ჩინებულად მოქმედი კვარაცხელია მხოლოდ საჯარიმოში გააჩერეს და ისიც წესების დარღვევით. 11 მეტრიდან თავად ჩვენი ფეხბურთის მომავალმა იმედმა ზუსტად დაარტყა.

საქმე მოთავებული იყო და სანიოლმაც შეცვლებს მიმართა. მოედანზე შესულმა გიორგი მიქაუტაძემ და ვაკო ყაზაიშვილმა კიდევ ერთი ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს და ანგარიშს გამანადგურებელი სახე მისცეს.

შემდეგ იყო კიდევ ერთი შეცდომა დაცვაში და...

შეგვეძლო მეტიც გაგვეტანა, მაგრამ ნიკა კვეკვესკირმა ვიდეორეფერის დახმარებით დანიშნული პენალტი ვერ გაიტანა და მატჩიც დამთავრდა...

ვილი სანიოლი:

– ვამაყობ დღევანდელი შედეგით, თამაშით, გუნდით. ემოციური ბიჭები არიან და მიხარია, რომ მათი მწვრთნელი ვარ. თუმცა, ამ ყველაფერმა ეიფორიაში არ უნდა ჩაგვაგდოს, წინ მაკედონიასთან მატჩია და ახლა მხოლოდ იმ თამაშზე უნდა ვიფიქროთ.

წინა მატჩიდან გამომდინარე, რამდენიმე ცვლილება იყო. ეს როტაცია საჭიროა, რადგან 10 დღეში ოთხი მატჩის ჩატარება გვიწევდა. აქედან გამომდინარე, ყველა ფეხბურთელი მოედანზე ვერ გავა. როტაცია კიდევ იქნება. გვყავს 29 ფეხბურთელი, რომელიც ყველა საჭიროა. ბულგარეთთან შეცვლაზე შესულმა ფეხბურთელმა მშვენივრად ითამაშეს და რიტმიდან არ ამოვარდნილან.

ახლა ყველა ანალიზის გაკეთება რთულია. მოედანზე 5-6 ფეხბურთელი გყავდა, რომელსაც სწრაფად შეუძლია თამაში და მათ ეს შეძლეს.

პრესინგი მეტოქეზეც არის დამოკიდებული. ჩვენ უფრო კარგად გამოგვდის პრესინგი საკუთარ ნახევარზე და შემდეგ კონტრშეტევებზე თამაში, რადგან ამ დროს მეტი სივრცე გვეხსნება. ფეხბურთელებიც კარგად და სიამოვნებით ასრულებენ იმ დავალებებს, რასაც ვაძლევ და, ვფიქრობ, ბოლო თვეებში პროგრესი გვაქვს.

15 თვის წინ მივედი გუნდში, საჭირო იყო მათი გაცნობა. ბევრმა უკვე დატოვა გუნდი, მაგრამ კარგი შემადგენლობა დაგვრჩა, რომელიც გამოცდილი და ახალგაზრდა ფეხბურთელების ნაზავია. დღეს მათ ზეიმის უფლება აქვთ, ხვალ კი, ისევ შრომა უნდა დაიწყონ.

იასენ პეტროვი:

– ყველაფერი სრულდება. ამ გზით სვლას ვერ გავაგრძელებთ. ბოდიშს ვიხდი, მივდივარ ნაკრებიდან. მინდა ყველა ადამიანს წარმატება ვუსურვო. პრეზიდენტთან ამ თემაზე არ მისაუბრია. ეს ჩემი გადაწყვეტილებაა და ყველაფერს საკუთარ თავზე ვიღებ. არ ვიცი, ვის დანიშნავენ მწვრთნელად, მაგრამ მას ყველა ვარიანტში წარმატებას ვუსურვებ.

ჩვენივე ჯგუფში ჩრდილოეთ მაკედონიამ სტუმრად 2:0 აჯობა გიბრალტარს.

სატურნირო ცხრილი:

1.საქართველო	2	2	0	0	9:2	6
2.ჩრ.მაკედონია	2	1	1	0	3:1	4
3.ბულგარეთი	2	0	1	1	3:6	1
4.გიბრალტარი	2	0	0	2	0:6	0

მომდევნო ტური 9 ივნისს გაიმართება. საქართველოს ნაკრები სტუმრად ჩრდილოეთ მაკედონიასთან ითამაშებს, ხოლო გიბრალტარი შინ ბულგარეთს დაუხვდება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ ნერილს ინახავს.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

მადლიერ პაციენტთა რიცხვი ათასობითაა:

ლია თეთრაშვილი: მქონდა მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

კლარა წიტაიშვილი: კორონას შემდეგ დამეწყო საშინელი თმის ცვენა. ვცადე ძალიან ბევრი საშუალება, მაგრამ უშედეგოდ. ლამარა თოდუას წამლებმა თმის ცვენა ხომ შემიჩერა და თმა გაცილებით ხშირიც გამიხდა. ვისაც მსგავსი პრობლემა აქვს, ვურჩევ მიაკითხოს ქალბატონ ლამარას.

თინა სორდია: კორონამ დამიტოვა საშინელი ხველა და ქოშინი. ლამარა თოდუას წამლების მიღებიდან მესამე დღესვე შემისუსტდა ხველა, გულიც აღარ მეღლება. 5-6 დღის შემდეგ ძილიც გამიუმჯობესდა.

ლილი კიზირია: 83 წლის დედას წლები აწუხებდა ჰაიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუოების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იყოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ – „განვიკურნე სრულიად“.

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება

ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯროსვოოიდი ბ



შვეულად: 1. ცხარე გემოს ფრანგული ყველი; 2. უბანი თბილისში; 3. რეცეპტის პირი, რომელიც აფთიაქიდან გაცემულ წამალს ახლავს; 4. ვეტერინარის ძველი სახელწოდება; 5. დამკაბადონებელი სტამბაში; 10. წყალი მყარ მდგომარეობაში; 11. მხატვრულ ფილმ „უძინართა მზე“-ს რეჟისორი; 12. სტუდქალაქის სახელწოდება აშშ-ში; 13. იტალიური რესტორანი; 16. ხმის გამაძლიერებელი მოწყობილობა; 17. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 19. ნახევარკუნძული კასპიის ზღვაში; 21. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი; 23. ხელოვნების მუზეუმი მილანში.

თარაზულად: 6. რომელიმე ენის ფორმის შემსწავლელი გრამატიკის ნაწილი; 7. ნიკო ფიროსმანის ფერწერული ტილო; 8. სასტუმრო თბილისში; 9. ქართველი შტანგისტი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი; 14. ისტორიული ციხე-სიმაგრე თბილისში; 15. ამერიკელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 18. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 20. ქალაქი აშშ-ში, სადაც განთავსებულია ფარმაცევტული კომპანია „ფაიზერის“ სათავო ოფისი; 22. კახეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 24. ბალეტ „გორდას“ მუსიკის ავტორი; 25. მსხვილი ფინანსურ-სამრეწველო გაერთიანება; 26. საქართველოს რაგბისტთა გუნდი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯროსვორდების პასუხები:

ჯროსვორდი ა

შვეულად: 1. მუდო; 2. რვალი; 3. იმაგო; 4. წრომი; 5. წულაძე; 6. რენეგატი; 8. რეზერვაცია; 10. შერეკილები; 11. სირაქლემა; 14. ბეზოსი; 15. ქაშაყი; 16. ძუნწი.

თარაზულად: 1. მოდრიჩი; 4. წიწამური; 7. დუნაი; 9. ბორში; 12. ვერსია; 13. გზირი; 14. ბენეტი; 17. მარალი; 18. ალექსანდრია; 19. ჩარდაში; 20. მილანი.

ჯროსვორდი ბ

შვეულად: 1. ფლუგერი; 2. პალესტრა; 3. პრიმადონა; 4. ვატმანი; 5. კალათბურთი; 10. გულაბი; 11. ფანდანგო; 12. ბოქსიტი; 13. ბლოხინი; 16. კურლანდია; 17. ხაბელოვი; 19. არტემიდა; 21. როყიო; 23. დაისი.

თარაზულად: 6. ალადასტური; 7. ბაიდარა; 8. ტეხასი; 9. დაბახანა; 14. ღლიღვები; 15. ბაქტრიანი; 18. გოგრა; 20. კაიზერი; 22. ვედრება; 24. პორტიე; 25. ადორაცია; 26. პასივი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

7 ივნისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9624	ევრო — 3.1772
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.7175	100 რუსული რუბლი — 4.8061

ამინდის პროგნოზი 7 ივნისისათვის

ბენზემა: „რეალში კარიერას დავასრულებ“

მადრიდის რეალის ფრანგმა ფორვარდმა კარიმ ბენზემამ განაცხადა, რომ ის რეალში კარიერას დასასრულებს, რადგან ეს გუნდი მისთვის ძალიან ძვირფასია და სხვა კლუბში მას თავი ვერ წარმოუდგენია:

– რეალმა ყველაფერი მომცა და ამ გუნდთან ერთად უამრავი ტიტული მოვიგე, ამიტომ უბრალოდ შეუძლებელია, რომ აქაურობა მივატოვო. რეალთან ერთად კიდევ მაქვს მიზნები.

მამარდაშვილით რამდენიმე ინგლისური გუნდი დაინტერესდა

ვალენსიის ქართველი მეკარით რამდენიმე ინგლისური გუნდი დაინტერესდა და გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მათ შორის არის არსენალიც.

ლონდონელები მზად არიან მამარდაშვილის ტრანსფერში 50 მილიონი გადაიხადონ, თუმცა ვალენსია, სავარაუდოდ, ნაკლებ თანხაზეც ყაბულს იქნება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 105 წელი გამოფენით აღინიშნება

„საქართველოს ეკლესიის წინამძღვრები“ – ასე ჰქვია ეროვნული არქივის პავილიონში გახსნილ გამოფენას, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 105 წლისთავს მიეძღვნა. გამოფენის კურატორი ქეთევან ასათიანია.

ექსპოზიციაზე მისული დამთვალიერებელი იხილავს საქართველოს ეკლესიის პირველი მამამთავრების, კათოლიკოსებისა და კათოლიკოს-პატრიარქების მოღვაწეობის ამსახველ მასალას, ეროვნულ არქივში დაცულ ისტორიულ საბუთებს, ხელნაწერებს, ფოტო და სხვა საარქივო დოკუმენტებს; ასევე პატრიარქების მემორიალურ ნივთებს, რომლებიც სხვადასხვა კერძო კოლექციაშია დაცული.

ექსპონატები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გრძელ და რთულ გზას ასახავს. გამოფენა იუსტიციის მინისტრის მოადგილე ბუბა ლომუაშვილმა 24-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ერთად დაათვალიერა.

ღონისძიებას საქართველოს საპატრიარქოს, სამეცნიერო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები დაესწრნენ. ეროვნული არქივის საგამოფენო პავილიონში ექსპოზიცია 22 ივნისამდე გაგრძელდება.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 105 წლისადმი მიძღვნილ გამოფენაზე დასწრება თავისუფალია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

7 ივნისისათვის

ვერძი – ფუჭი საუბრები, არასაჭირო ურთიერთობები უსიამოვნებას შეგამთხვევთ. კრიტიკული დღეა. საყიდლებზე წასასვლელად სხვა დრო შეარჩიეთ. **კურო** – ფინანსებს გაუფრთხილდით. ფული ეკონომიურად ხარჯეთ. გარისკვა გაუმართლებელია. **ტყუპები** – მიღებულ შემოთავაზებას უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. მეგობრებთან ურთიერთობა გაგახალისებთ. **კირჩხიბი** – ოცნება აგისრულდებათ. საქმიანი შეხვედრები სასურველ შედეგს არ გამოიღებს. **ლომი** – დღის ნეგატიურ ტენდენციებს თქვენი სითამამე და აქტიურობა გააქარწყლებს. ერიდეთ კონფლიქტს კოლეგებთან. **ქალწული** – ემოციები აკონტროლეთ. მოთმინება და თავშეკავება უსიამოვნებას თავიდან აგაცილებთ. **სასწორი** – კეთილისმყოფელი დღეა სოციალური კონტაქტებისათვის. პირად ცხოვრებაში ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციები ჭარბობს. **ღრიანცელი** – საქმიანი ურთიერთობები არ გაამართლებს. გუნებაგანწყობა ხშირად გეცვლებათ. **მშვილდოსანი** – კომერციულ სფეროში არ იაქტიუროთ. კარგი იქნება დასვენება და გართობა უახლოესი მეგობრების წრეში. **თხის რქა** – ახალგაცნობილ ადამიანებთან ურთიერთობისას იფრთხილეთ. ამბიციურობა და კატეგორიულობა დღეს დაგაზარალებთ. **მერწყული** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. ზომიერება დაიცავით ნებისმიერი საქმიანობისას. სერიოზულ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. **თევზები** – რეალობა ადეკვატურად მიიღეთ. ილუზიებისაგან საჩქაროდ გათავისუფლდით. ჯანმრთელობას მეტი ყურადღებით მოეკიდეთ.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ქალიშვილი მამას ეუბნება:

– მამა, ვშიშობ, ცოლად არავინ მომიყვანს.

– მაგაზე არ ინერვიულო, შვილო, დედას გამოართმევ წამალს, მერე ვინმეს სასმელში ჩაუყრი და მოაჯადოებ.

– და დედას ასეთი წამალი აქვს?

– უნდა ჰქონდეს.

– რატომ გგონია მასე?

– რამდენი წელია ვუყურებ და მასზე დაქორწინების სხვა მიზეზს ვერ ვხედავ.

●●●

ქმარი ცოლს ეკითხება:

– ძვირფასო, ჩვენი ბავშვები ჩემი შვილები არიან?

– რატომ მეკითხები?

– რაღაც მეტისმეტად ლამაზები და ჭკვიანები არიან.

●●●

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– იცი, რომ თურმე ერთი ჯემპრის მოსაქსოვად სამი ცხვარია საჭირო?

– მართლა, არ ვიცოდი, თუ ქსოვაც შეეძლოთ.

●●●

გაცნობის გვერდზე ბიჭი გოგოს ეკითხება:

– შეგიძლია მითხრა, რა ზომის მკერდი გაქვს?

– ოჰ, არა. ეს ჩემი პატარა საიდუმლოა.

●●●

ერთი მამაკაცი მეორეს ეუბნება:

– ამბობენ, რომ შავგვრემანი ქალები ქერათმიანებზე ტემპერამენტიანები არიან...

– არ დაიჯერო! ჩემი ცოლი ქერათმიანიც იყო და შავგვრემანიც, მაგრამ – არანაირი განსხვავება.

●●●

რუსი ტურისტი ქალი ამერიკაში ჩავიდა, სასტუმროში დაბინავდა და გადაწყვიტა, დედიშობილა გარუჯულიყო. ავიდა სასტუმროს სახურავზე, გაშიშვლდა და სახურავზე დაწვა. გარკვეული დროის შემდეგ მასთან სასტუმროს თანამშრომელი მივიდა და ეუბნება:

– მომიტევეთ, თუ შეიძლება, სასტუმროს ადმინისტრაციას არაფერი აქვს იმის საწინააღმდეგო, რომ სახურავზე გაირუჯოთ, მაგრამ, გთხოვთ, საცურაო კოსტიუმი ჩაიცვათ.

ქალმა პირსახოცი აიფარა და ეკითხება:

– ასე შეიძლება?

– გთხოვთ, საცურაო კოსტიუმი ჩაიცვით.

– რატომ?

– იცით რა, ახლა სადილის დროა, თქვენ კი რესტორნის შუშის სახურავზე წევხართ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

„მასტერშეფის“ ნახევარფინალისტები ცნობილია

კულინარიულმა შოუმ „მასტერშეფი“ ნახევარფინალისტები დაასახელა. პროექტის შეფების თეკუნა გაჩეჩილაძის, კონსტანტინე თედელურის, ლუკა ნაჭყებიასა და ლევან კობიაშვილის გადაწყვეტილებით, საუკეთესო 12 კონკურსანტიდან ნახევარფინალისტობის უფლება თავისი ორიგინალური და განსაკუთრებული კერძებით მოიპოვეს აკაკი ცანკაშვილმა, თამარ ბექაურმა, გიგი აფციაურმა, მარიამ ბართიამ და სანდრა კორენევიჩმა.

მომავალ საკონკურსო ტურში ნახევარფინალისტების მიერ მომზადებული კერძების დაგემოვნების შემდეგ, შეფების ოთხეული გადაწყვეტს, ვინ გადავა ფინალში და ვინ იბრძოლებს საბოლოო გამარჯვებისთვის.

მერაბ სეფაშვილის კონცერტები გაუქმებულია

მომღერალ მერაბ სეფაშვილის 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით დაგეგმილი კონცერტები გაუქმებულია. ამის მიზეზი მომღერლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება გახდა. ის პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში იმყოფება.

ბესო ჩუბინიძე:

– მერაბს არ აქვს კოვიდი, აქვს ფილტვების ანთება და დაბალი სატურაცია, ამ მიზეზითაა გადაყვანილი კლინიკაში და არა რაღაც ბუზისგან სპილოდ გადაქცეული მიზეზებით!

ვესაუბრე და მხნედაა, მერაბისეულადაა და გადის მკურნალობის კურსს.

ნუ ავრცელებთ ჭორებს, არც ჟანგბადის აპარატზე არაა მიერთებული და არც დიზელზე ან ბენზინზე. არის დამატებითი ჟანგბადის მიწოდების ფორმატში.

მალე გამოჯანმრთელება ჩვენს ძმას.

თემურ ჩხეიძეს მარჯანიშვილის თეატრიდან გამოასვენებენ



78 წლის ასაკში გარდაცვლილ რეჟისორ თემურ ჩხეიძეს უკანასკნელ გზაზე მარჯანიშვილის თეატრიდან გაასვენებენ.

რეჟისორი, სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველის, კოტე მარჯანიშვილის, მიხეილ თუმანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, გოგი გეგეჭკორის სახელობის „ქართული ხელოვნების რაინდი“ ლაურეატი, საქართველოს თეატრალური პრემიის „ოქროს ნიღაბი“ ორგზის მფლობელი, პეტერბურგის თეატრალური პრემიის „ოქროს ნიღაბი“ მფლობელი, „ოქროს გრან-პრის“ მფლობელი, „ილიას მედლის“ მფლობელი, თემურ ჩხეიძე მთელი ცხოვრება თეატრში მუშაობდა.

რეჟისორი სხვადასხვა წლებში მუშაობდა ზუგდიდის თეატრში, თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრში, რუსთაველის თეატრში, მარჯანიშვილის თეატრში, სოხუმის თეატრში, გენუის საოპერო თეატრში, ვენეციის საოპერო თეატრში, ბორდოს საოპერო თეატრში, მილანის „ლა-სკალა“-ში, ნიუ-იორკი „მეტროპოლიტენ ოპერა“-ში, მოსკოვის სამხატვრო თეატრში, პეტერბურგის ტოვსტონოგოვის სახელობის დიდ დრამატულ თეატრში, მოსკოვის დიდ თეატრში, პეტერბურგის მარინის თეატრში...

10 წლის განმავლობაში მარჯანიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გახლდათ. წლები მუშაობდა სანკტ-პეტერბურგის დიდი თეატრის რეჟისორად, შემდეგ მთავარ რეჟისორად, მოგვიანებით კი – სამხატვრო ხელმძღვანელად.

თემურ ჩხეიძეს დადგმული აქვს 100-მდე სპექტაკლი. მისი წარმოდგენები წლების განმავლობაში სრული ანშლაგებით იდგმებოდა.

დათო გორგილაძე, ტელეწამყვანი:

– დიდი ადამიანები ცოტას ამბობენ ხოლმე და თუ ამბობენ, არაფერია ჰაერზე ნათქვამი. ასე, ორი თვის წინ, თემურ ჩხეიძემ დამირეკა. შაბათი დილა იყო. მისთვის ჩვეული, დინჯი ხმით მითხრა მადლობა ინტერვიუსთვისო. მე კიდევ გაძეგლებული ვდგავარ და ვფიქრობ: „კაცმა პატივი დაგდო და მასთან საუბრის საშუალება მოგცა. ახლა კიდევ გირეკავს და პირიქით გემადლიერება იმის გამო, რომ პატივი დაგდო. ხედები, რა დიდია კაცი?!“

ამას ერთი ფრაზა დააყოლა, რასაც მაშინ ყურადღება არ მივაქციე: – თუ კიდევ ვიცოცხლებ, გადავეყაროთ ხოლმე ერთმანეთს – თქვა. თურმე ნათქვამი ყურადღებად ღირდა.

ამ სიტყვების შემდეგ თემურ ჩხეიძე დაკრძალვაზე დავინახე. ის ნელი ნაბიჯით გამოვიდა სიონის ტაძრიდან და, იმის მიუხედავად, რომ იქ მდგომი უამრავი ადამიანიდან ერთი არ მოიძებნებოდა ისეთი, ან თვალზე ცრემლი რომ არ ჰქონოდა, ან გული ამოვარდნაზე, სწორედ ის მომეჩვენა ყველაზე სევდიანი. ოღონდ სხვანაირად, მშვიდად სევდიანი.

მშვიდად განისვენეთ დიდო ადამიანო. ჩვენგან, ჩვეულებრივებისგან მხოლოდ მადლობას იმსახურებთ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. აბრეშუმის ჭია; 2. წიაღისეულის მომპოვებელი მიწისქვეშა საწარმო; 3. სატრფიალო პოეზია ბერძნულ მითოლოგიაში; 4. გემთმშენებელი საწარმო; 5. ავი, ანჩხლი დედაკაცი; 6. კუჭქვეშა ჯირკვლის ჰორმონი; 8. ქართველი მილიარდერი, ქველმოქმედი; 10. პოპულარული ზღვისპირა კურორტი ხორვატიაში; 11. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 14. ცხენოსანი მწყემსი აშშ-ში; 15. შოტლანდიის ეროვნული გმირი; 16. მდინარე, ხეობა აფხაზეთში.

თარაზულად: 1. ქართველი კარდიოლოგი, აკადემიკოსი; 4. პორტუგალიური ვაზის ჯიში, რომლისგანაც ამზადებენ მადერას ტიპის ღვინოებს; 7. ორსართულიანი სახლის ზედა სართული ფშავ-ხევსურეთში; 9. ბალნეოლოგიური კურორტი ხონის რაიონში; 12. ღვინის ვაჭარი ძველად; 13. ქართული მონასტერი კუნძულ კვიპროსზე; 14. პატარა სარეისო გემი; 17. ჩქარტემპიანი ამერიკული ცეკვა; 18. ოქტომბრის თვის ქართული სახელწოდება; 19. სასტუმროების ქსელის მფლობელი, მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ფირმა; 20. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა